140
2001
3
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული



◆ ვიცოდეთ ჩვენი უფლებები ◆ დონია კიხოტი და სხვები ◆ წმინდა ილია მართლის სახელობისა ◆ იცოდით, რომ ყავა თხებმა აღმოაჩინეს? ◆ თუ გინდა მაღალი იყო... ◆ ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისთვის“ ◆ სიცილის გაკვეთილი ◆ კომიქსი ◆ ტესტი თინეიჯერებისათვის ◆

# „ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი“...



ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე
საქართველოს საოცნებო გზები,
გრძელი, როგორც ჩვენი მრავალჟამიერი,
ხვავრიელი, როგორც ჩვენი ძნები.

ვძებნე, ვძებნე, ვერ მოვძებნე
ოცნებაში დახატული მოყმე,
მინდა, ვიყო თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სადღეგრძელოდ მოვკვდე.

მუმლი მუხას ეხვეოდა,
ყორანივით დაგვყიოდა მტერი,
კაფეს, კაფეს, ვერ გაკაფეს
ეჭვებივით ჩახლართული ტევრი.

ლეწეს, ლეწეს, ვერ დალეწეს,
განა მართლა თავზე ჩამოგვექცა
ვარსკვლავების ჩიხტიკოპით დახურული
საქართველოს მადლიანი ზეცა.

მინდა, ვიყო გმირი თინა წავკისელი,
შორი გზიდან მიყიოდეს მოყმე,
ვიყო მისთვის თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სიცოცხლისთვის მოვკვდე.

*მედეა კახიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2001 წ. № 3
გამოდის 1926 წლიდან

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---------- 2
ვისწავლოთ ჩვენივე უფლებები ---------- 3
წმინდა ილია მართლის სახელობისა ---------- 4
დონია კიხოტი და სხვები (მოთხრობა) ---------- 6
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 10
იცით, რა გონიერია ყვანჩალა? (ბუნების კარი) ---------- 11
ლაპერუზისგან ხომ არაფერი ამბავი ისმის? (სახელმძღვანელო +) ---------- 12
ტესტი თინეიჯერებისათვის ---------- 13
ნოდარ სინაურიძე – ამომავალი ვარსკვლავი. ორივე კვიცი გვარზე ხტის
(დასამახსოვრებელი სახელები) ---------- 14
ახალი ლექსები ---------- 15
საკონტროლო წერა თემაზე: მე რომ განათლების მინისტრი ვიყო... ---------- 16
„ოლომხერი“ (მოსწავლეთა შემოქმედება) ---------- 18
დავით სარაჯიშვილი (მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს) ---------- 20
იცოდით, რომ ყავა თხებმა აღმოაჩინეს? ---------- 23
რა არის დაძლევა? ---------- 25
ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისთვის“ ---------- 27
მაზა სამჭკუაშვილის ფათერაკიანი თავგადასავალი (კომიქსი) ---------- 29
რჩევები ბიჭებს და გოგონებს ---------- 30-31
სიცილის გაკვეთილი ---------- 32

რედაქტორი მანანა გელაშვილი
მისამართი 380096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ინდექსი 76157
ფასი სახელშეკრულებო
ჟურნალი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში.



# ფაქტი

## „ნაკადულის“ საინფორმაციო სამსახური



### სამართალდარღვევათა საწინააღმდეგო აცრა

საქართველოს იუსტიციის ახალი მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, თბილისის 51-ე სკოლის 50 მოსწავლემ მეხუთე საპყრობილეში ახალგახსნილი მუზეუმი დაათვალიერა. უფროსკლასელები ორი საბადრაგო მანქანით გადაიყვანეს და ის ადგილები დაათვალიერებინეს, სადაც ოდესღაც სასიკვდილო განაჩენის აღსრულება ხდებოდა. მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ თითოეულმა მოზარდმა უნდა იცოდეს, თუ სად მოხვდება დანაშაულის ჩადენისთვის და რა პირობებში მოუწევს ყოფნა. მინისტრმა ბავშვებს პატიმრებთან გასაუბრების საშუალებაც მისცა და ისიც უამბო, თუ როგორ სამარცხვინოდ წახდებიან ხოლმე ის მათი თანატოლები საპატიმროში მოხვედრის შემდეგ, რომლებიც ყველაზე მეტად დებენ თავს „ძველბიჭობაზე“. მოსწავლეებთან საუბრისას მ. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მუზეუმის დათვალიერება თავისებური აცრა უნდა გახდეს მათთვის, რათა მომავალში სერიოზული სამართალდარღვევა არ ჩაიდინონ.

### «ზარში» კრიტიკულ აზროვნებას სწავლობენ

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ „კრიტიკული აზროვნების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მყოფმა აშშ-ს ჯორჯიის უნივერსიტეტის პროფესორებმა პენი ოლდფადერმა და სინდი ჰინდმა მოინახულეს რუსთავის ღია სკოლა „ზარი“. სტუმრებს მოეწონათ სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონე და კრიტიკულად აზროვნების პროგრამაზე აგებული სწავლების მეთოდები. მათ აღუთქვეს „ზარის“ მოსწავლე-მასწავლებლებს, რომ გარკვეულ დახმარებას გაუწევენ. სკოლა „ზარი“ არც ისე დიდი ხანია არსებობს. აქ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების გარდა, შაბათ-კვირას VI-IX კლასების 20 მოსწავლე უფრო ვრცელ ჩარჩოებში იძენს მრავალფეროვან ცოდნას და კრიტიკულ აზროვნებას ეჩვევა.

### წიგნი ჩეჩენი ბავშვებისთვის

„ჰაინრიხ ბიოლის ფონდის“ და სხვა საერთაშორისო ფონდების ხელშეწყობითა და ფინანსური დახმარებით გამოიცა „კავკასიურ სახლში“ მომზადებული წიგნი „მზე დედაა ჩემი“, რომელიც ჩეჩენ ბავშვებს მიეძღვნა. წიგნში თავმოყრილია ჩეჩნური ზეპირსიტყვიერების ძეგლები, მითები, ლეგენდები, ანდაზები, გამოცანები, მიმართვები ღვთაებებისადმი. წიგნში, რომელიც სამ ენაზე გამოიცა, ჩეჩნურის გარდა, ქართული და რუსული ფოლკლორის ნიმუშებიც არის შეტანილი.

### ჩოგბურთელთა გამარჯვება საფრანგეთში

წარმატებით იასპარეზეს საფრანგეთში, ქალაქ ორეში ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის ეგიდით გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 12 წლამდე ასაკის გოგონებისა და ბიჭებისთვის თბილისელებმა ია ჯიქიამ, მანანა შაფაქიძემ და ალექსანდრე ლომინაშვილმა.

იამ და მანანამ წყვილთა შორის იმარჯვეს (ამ შეჯიბრებაში 32 წყვილი მონაწილეობდა), ფინალში მათ ანგარიშით 6:3, 6:1 დაამარცხეს ვალენტინა ფიუა და შარლოტა სიუზრი. ალექსანდრე ლომინაშვილმა, თუმცა მეორე ტურში წაიბორძიკა, სანუგეშო ტურში იყოჩაღა, მერე ზედიზედ სამ მოწინააღმდეგეს მოუგო და ერთეულთა თანრიგში ტურნირის გამარჯვებულის წოდებაც მოიპოვა. საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის სპორტსმენებმა პირველი ადგილი მოიპოვეს.

### საერთაშორისო გამოფენაზე

თეირანში გაეროს ეგიდით გამართულ ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენაზე რუსთავის სამხატვრო სკოლის მოსწავლემ თამაზ მჭედლიშვილმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თამაზის გარდა, გამოფენაში კიდევ 16 ნორჩი ქართველი შემოქმედის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

# ვისწავლოთ ჩვენივე უფლებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები

დასრულდა გაეროს ბავშვთა ფონდის, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიისა და ევროკავშირის ხელშეწყობით „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თემაზე გამოცხადებული საუკეთესო ლიტერატურული და სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი. კონკურსის მიზანია „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ თემაზე ბავშვებისთვის პოპულარული გამოცემების მომზადება, რომლებიც შემდ კლასგარეშე ლიტერატურად დაიკვიდრდება სკოლებში.

გაეროს „ბავშვთა უფლებათა კონვენციას“ საქართველო 1994 წელს შეუერთდა, მაგრამ ეს დოკუმენტი ქართული საზოგადოებრიობისთვის ნაკლებად არის ცნობილი. ამას ისიც მოწმობს, რომ კონკურსის მონაწილეთა ნაწილს ის წაკითხული არ ჰქონდა. კონკურსი ტარდება ორი ასაკობრივი ჯგუფისთვის პირველი ჯგუფი მოიცავს 12 წლამდე ასაკის ბავშვებს. მეორე ჯგუფი კი აერთიანებს 13-დან 18-წლამდე მოზარდებს. სწორედ მათთვის უნდა შეექმნათ კონკურსანტებს ნებისმიერი ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც კონვენციის 45 მუხლი მაინც (სულ კონვენცია 54 მუხლისგან შედგება) იქნებოდა გათვალისწინებული.

ჟიურის, რომელსაც ცნობილი მწერალი გურამ დოჩანაშვილი თავმჯდომარეობდა, ძალიან გაუჭირდა 80-მდე წარმოდგენილ ნამუშევარში საუკეთესოების შერჩევა. ასე იყო თუ ისე, კონკურსის პირველი, ლიტერატურული ნაწილის გამარჯვებულები გახდნენ 12 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში:

ლაშა იმედაშვილი, პირველი ადგილი, ნაწარმოებისთვის „გიოგიოს, წუწუნიკას, იუნისა და სეფის თავგადასავალი“;

გიორგი ლორთქიფანიძე, მეორე ადგილი, ნაწარმოებისთვის „გოჭი ხილოვანი კატების ქვეყანაში“;

ნიკა შენგელია, მესამე ადგილი, ნაწარმოებისთვის „სანამ ფეელეშაპი გაიღვიძებდეს“.

21979



13-18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში:

ზაზა აბზიანიძე, პირველი ადგილი, ნაწარმოებისთვის „ბაბია“;

ეკა ლალანიძე, მეორე ადგილი, ნაწარმოებისთვის „აქეთ მთვარე, იქით მზე“;

ლევან ჩაგანავა, მესამე ადგილი, ნაწარმოებისთვის „პელეს ვირტუალური თამაში“.

გამარჯვებულები მოზრდილი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ: I პრემია – 2000 დოლარი, II პრემია – 1500 დოლარი, III პრემია – 1000 დოლარი.

დამთავრდა კონკურსის მეორე ეტაპიც, რომელიც გამარჯვებული ლიტერატურული ნაწარმოებების ილუსტრაციას ითვალისწინებს, გამარჯვებულები კი 1 მაისს დასახელდებიან.

მსურველებმა კენჭისყრით შეარჩიეს დასასურათებელ ნაწარმოებს. ილუსტრაციები უნდა ახლდეს ნაწარმოების ყველა ან 45 თავს. ფორმატი შეუზღუდავია.

საინტერესოა, რომ პრემიის მფლობელი, მწერალი ზაზა აბზიანიძე გადაწყვიტა, მხატვრობაშიც სცადოს ბედი და თავადვე დაასურათოს თავისი ნაწარმოები. ამასვე აპირებს კონკურსის კიდევ ერთი ლაურეატი – ლევან ჩაგანავაც. ლევანი მხატვარია და მწერლობაში უკვე სცადა ბედი, მას ნაწარმოების ილუსტრაციების უმეტესობა უკვე მზად აქვს.

## კლუბი ვაგონში

ბავშვის უფლებათა პროპაგანდის ორიგინალური და საინტერესო ფორმა აირჩიეს გორელებმა.

ქალაქ გორის არასამთავრობო ორგანიზაციამ „ბილიკი“ და ინტელექტუალ ქალთა ასოციაციამ „ქართლის დედა“, „ბავშვის უფლებათა“ კლუბი გახსნეს, რომელიც მხატვრების მიერ ლამაზად გაფორმებულ სარკინიგზო ვაგონშია განთავსებული. პროექტის მიზანია მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა და კულტურის დონის ამაღლება და ამიტომაც კლუბი ბორბლებზე სხვადასხვა სახის სასწავლო-საგანმანათლებლო, შემეცნებითი ლიტერატურით და ვიდეომასალებით არის აღჭურვილი. კლუბი – ვაგონი მთელ გორის რაიონს მოივლის, ისე რომ მოსახლეობას საშუალება მიეცემა მიიღოს კვალიფიციური ინფორმაცია ბავშვის უფლებების შესახებ. შემეცნებითი მოგზაურობა აპრილამდე გაგრძელდება და 3-დან 16-წლამდე ასაკის 2400 ბავშვი მოიცავს. კლუბში მისული გოგო-ბიჭებს სახალისო ფორმით აცნობენ ბავშვის უფლებათა კონვენციას.

ვაგონის ერთი კუთხე თოჯინების თეატრს აქვს დათმობილი. თეატრის სპექტაკლებიც თემატურია და ძირითადად ბავშვის უფლებებს ეძღვნება. ყველაზე პატარებს უჩვენებენ მულტფილმებსა და ზღაპრებს, მოზრდილებს კი იუნისეფის იმ პროგრამებს აცნობენ, რომლებიც ბავშვთა ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისადმია მიძღვნილი. პროექტი გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის მხარდაჭერით ხორციელდება. კლუბში ლექციებს კითხულობენ გორის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებსაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებმა სპეციალური მოსამზადებელი სემინარები და ტრენინგები ჩაუტარეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმინდა ილია მართლის სახელობისა

სამშობლოს, საკუთარი ისტორიის, ენის, ხალხის პატივისმცემელ, ამპარტავნობისგან თავისუფალ, სიყვარულით გამსჭვალულ, ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულ თაობას უზრდის ქვეყანას საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია.



გიმნაზია 1992 წელს დაარსდა ზურაბ ბუაძის მოწადინებით, მისივე ძალისხმევით და მეუფე დანიელის (დათუაშვილი) და მეუფე ნიკოლოზის (ფაჩუაშვილი) ხელშეწყობით. თავიდან 58-ე სკოლას თავშეფარებულ გიმნაზიაში თითოოროლა კლასი იყო (სკოლის დირექტორმა მერაბ კეკელიძემ დიდსულოვნად უმასპინძლა დამწყებ სასწავლებელს), დღეს კი გიმნაზიაში, რომელმაც საბოლოოდ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე , ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში დაიდო ბინა, 23 კლასი და 408 მოსწავლეა, აქ სწავლის მსურველი კი კიდევ — უფრო მეტი. მშობლები იხვეწებიან, ოღონდ მიიღეთ ჩვენი შვილები თქვენთან და დე, მერხის ნაცვლად ფანჯრის რაფაზე წერონ და იკითხონო...



გიმნაზიას რომ აფუძნებდნენ, მისმა მესვეურებმა წმინდა ილია მართლის სახელი იმიტომ აირჩიეს, რომ მათი მტკიცე რწმენით, ილიასეული ტრიადა — ენა, მამული, სარწმუნოება ის მცნებებია, რომლებიც სამარადჟამოდ უნდა აღიბეჭდოს ყოველი ქართველის სულში, გულსა და გონებაში. ამ სულისკვეთებით ზრდიან დღეს აქ თითოეულ მოსწავლეს, რომლებსაც უწინარეს ყოვლისა, ერის, მამულის სამსახურად ამზადებენ.



ამჟამად გიმნაზიას ქალბატონი ნინო კასიანი ხელმძღვანელობს, რომელიც თავიდან, უბრალოდ ერთ-ერთი აქაური მოსწავლის მშობელი იყო (როგორც კი გიმნაზია დაფუძნდა, ქალბატონმა ნინომ თავისი უფროსი შვილი, შვიდი წლის სიმონი უმალ აქ გადმოიყვანა სასწავლებლად. აქვე სწავლობს მისი კიდევ სამი შვილი — სალომე, თამარი და მარიამი, ხუთი წლის საბაც სულ მალე შემოაბიჯებს აქ). ახალფეხადგმულ გიმნაზიას ყველანაირი დახმარება სჭირდებოდა და ღრმად მორწმუნე ქალბატონი ნინო, არც დროს იშურებდა, არც ძალას, ოღონდ კი რაღაცნაირად მხარში ამოდგომოდა ჩინებული საქმის წამომწყებთ, ხელი მოემართა სასწავლებლის ფეხზე დადგომაში. ამასობაში კი ინგლისურის მასწავლებლად მიიღეს, მერე, როდესაც დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს, ქალბატონ მანანა რამიშვილს სახლი დაეწვა და მუშაობა ვეღარ შეძლო, მისივე წარდგენით, უკვე ოთხი შვილის დედა ნინო კასიანი მოადგილედ დაინიშნა, მერე კი დირექტორობაც მიანდევს. ახლანდელ შენობაში 1994 წლის 8 მარტს გადმოვიდნენ. ბევრი იშრომეს, მკლავები დაიკაპიწეს და მიტოვებულ, მიშვებულ და გაპარტახებულ შენობას თვითონვე მოუარეს, თავისი ხელით გაწმინდეს და მოაწესრიგეს, მშობელთა დახმარებით ნაწილობრივი რემონტის ჩატარებაც შეძლეს, და ოთახებისა თუ დერეფნების გადაკეთებაც. დებულებით, გიმნაზიაში 16 კლასი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მაშინ, როცა ახალგაზრდა დირექტორს ყველაზე მეტად სჭირდებოდა თანადგომა და გამხნევება, უერთგულეს და უყოყმანოდ ამოუდგნენ მხარში მასწავლებლები მარეხ აგლაძე, მანანა რამიშვილი, დარეჯან კირვალიძე, რომლებიც თავიანთ ძველ სკოლაშიც მშვენივრად გრძნობდნენ თავს, მაგრამ გამოჰყვნენ და საწყისი პერიოდის ყველა სიძნელე მასთან ერთად გაიზიარეს.

დიდი დახმარება გაუწიეს გიმნაზიას ვია გიორგობიანმა და ბიძინა ჩაჩანიძემ, რომლებმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური შემწეობა არ დააკლეს და დიდ საქმეს გაამარჯვებინეს.

დებულებით, გიმნაზიაში 16 კლასი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ზევითაც ვთქვით, იმდენი მსურველი გამოჩნდა, სადღეისოდ 24 კლასია დაკომპლექტებული. დღეს უკვე ავტორიტარი მასწავლებელი აღარც მშობელს აკმაყოფილებს, და აღარც ბავშვს, დრომ სხვა მოთხოვნები დააყენა, ხალხი უფრო და უფრო მეტად ილტვის სულიერებისკენ. გიმნაზიის დირექტორსაც, მასწავლებლებსაც, მშობლებსაც სწამთ, რომ მორწმუნე, ეკლესიური პედაგოგი, ეკლესიური დედა უფრო მეტად უგებს ბავშვს, უფრო უკეთ გრძნობს მისი სულის მოძრაობას, ხვდება მის საფიქრალს. „ძალიან ბევრი უნდა გასცე, რომ იმის ნაწილი მაინც მიიღო, რასაც გასცემ, ადამიანს სიყვარული, მოყვასის სიყვარული უნდა ამოძრავებდეს... ბავშვი ყველანაირ ურთიერთობაზე წამოვა, თუ დაგიჯერებს, რომ სიყვარულით ეუბნები, მას უნდა სჯეროდეს, რომ შენ მისი ზნეობრივად ჩამოყალიბება გინდა, მისი ფასეულობების ჩამოყალიბება გინდა...“ — ეს გიმნაზიის დირექტორის სიტყვებია და ეს არის ის ღერძი, რომელზეც აგებულია აქაური მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობა.



თუ გიმნაზიადამთავრებულ ბავშვებს საქართველო ძალიან ეყვარებათ, ეს უწინარეს ყოვლისა, მამუკა თედიაშვილის დამსახურება იქნება. მამუკა მასწავლებელი ტურისტულ კლუბ „გზას“ ხელმძღვანელობს და წელიწადში უთვალავჯერ გაჰყავს ბავშვები საქართველოს დაბასოფლებში. მოილოცავენ ტაძრებს, დაასუფთავებენ არემარეს, ბევრს ნახავენ, ბევრს გაიგებენ, მშობლიური მიწა-წყლის სილამაზით დატკბებიან და სულგაფაქიზებულები, ცოდნით გამდიდრებულები ბრუნდებიან უკან. ამას წინათ ხუთი დღით თიანეთში იყვნენ, იქიდან ახმეტაში გადავიდნენ, გზადაგზა ტაძარ-ეკლესიები მოილოცეს. ამ გოგო-ბიჭებს სხვა დამოკიდებულება აქვთ გარემოსადმი, ბუნებისადმი, მათ მიწის ფასი იციან: მათთვის, ხეც, ბალახიც, ყვავილიც, ფრინველ-ცხოველიც ისეთივე ღვთის ქმნილებები არიან, როგორიც ადამიანი და მაშასადამე, ისეთივე სათუთ და სიყვარულით დამოკიდებულებას მოითხოვენ.



წმინდა ილია მართლის გიმნაზიაში რამდენიმე უფასო წრე მოქმედებს. გალობის წრეს ნინო აბიათარი და ლია სალაყაია ხელმძღვანელობენ; ხატწერას ნანა ბაღათურია ასწავლის, ქარგვასა და გობელენის ქსოვას კი — თეა პაიჭაძე. სამკურნალო მცენარეებს ნატო ასათიანი და ირინე ბიბილეიშვილი შეასწავლიან ბავშვებს. გარდა ამისა, სიონის ტაძრის მედავითნე ნიკოლოზი გიმნაზისტებს მედავითნეობას ასწავლის. გიმნაზიაში მათემატიკოსთა ოლიმპიური ჯგუფიც აქვთ, ნორჩ მათემატიკოსებს დალი დიასამიძე და ნინო ნოზაძე ამზადებენ. აქ ბავშვების ფიზიკურ სიმრთელეზეც ზრუნავენ. მოქმედებს ქართული თავდაცვის ხელოვნების შემსწავლელი სპორტული ჯგუფი „ხრიდოლი“. ცეკვის შესწავლის მსურველთათვის კი ჩამოყალიბებულია სტუდია „ჩუქურთმა“, რომელსაც ნინო და თეიმურაზ ტატიშვილები ხელმძღვანელობენ. (სპორტული ჯგუფი და ცეკვის სტუდია ფასიანია).

წმინდა ილია მართლის გიმნაზიას წელს აქ აღზრდილთა მეოთხე თაობა დატოვებს. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებენ ეს გოგო-ბიჭები სწავლას, სხვადასხვა საქმეს მოეკიდებიან, სხვადასხვა სარბიელს აირჩევენ სამშობლოს სამსახურად, ერთი კი, ისევე როგორც გიმნაზიის წინა და მომავალი გამოშვებების კურსდამთავრებულებს, ყველას საერთო ექნება — ღვთისმოსაობა, ეკლესიურობა და კიდევ — ილიასეული მცნებების ერთგულება.

*მანანა კარგარეთელი*



# დონია კიხოტი და სხვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მანანა გელაშვილი

### მოთხრობა

სკოლის წინ ერთფეროვან, მოსაწყენ ბუჩქებს შორის გამომწვევად ყვაოდა ჭერმის ხე. „როგორ ერთბაშად აყვავებულა! შაბათს არაფერი ეტყობოდა...“ – გაიფიქრა თამარმა. ფანჯარას ლივლივით ჩამოუფრინა მესამე სართულიდან გამოშვებულმა ქაღალდის ჩიტმა. თამარმა უნებურად წამოიწია და თვალი გააყოლა. ჩიტი ჭერმის ქვეშ დაეშვა. გალეულმა ბიჭმა თანაკლასელთა მშობლებთან ჭორაობით გართულ დედას ხელი გააშვებინა, ჩიტს დასწვდა, ჩაცუცქულმავე ახედა ხეს და მოზღვავებული აღფრთოვანებისგან პირი დააღო. ერთხანს ასე გაოგნებული შეჰყურებდა, მერე გაიმართა, ხეს შეჰლიმა, ტანზე ხელი შეახო და აკოცა.

– რას სჩადიხარ, ფარნაოზ?! გადაირიე?! მოდი აქ! – დასჭექა ბიჭის დედამ. თამარს გუნება წაუხდა, ფანჯარას თვალი მოსწყვიტა და დაფას გახედა. ლოლა მასწავლებელს რაღაც უსაშველო ფორმულა გამოეჭყავლა: – ... გაეითვალისწინებთ რა ამინომჟავების აღნაგობას ბიპოლარული იონების სახით, რეაქციის განტოლებები ფუძეებსა და მჟავებთან შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: $H_3N+-CH_2$ ... კობახიძე, ხელს მიშლი! $CO+N+$ ზირაქაძე, აღარ დაიღალე ლაქლაქით?! $OH$ - ($H_2N$– რომელი ღმუის? ციალაძე, ისევ შენ იქნები და აგაღმუვლებ, იცოდე, წლის ბოლოს! $CH_2N$–$COO$) ხმაური! ვისაც არ აინტერესებს, შეუძლია მიბრძანდეს, დანარჩენებს მაინც აღარ შეუშლის ხელს... $+Na^{\cdot}+H_2O$ თამარმა კლასს თვალი მოავლო, ყველა თავ-თავისი საქმით იყო გართული. – „კაციშვილი არ უსმენს“. – გაიფიქრა.

– ე, კიხოტე, იცი, რას გიზამ? ცოტა გარკვევით ვერ დაწერე, რო დაგიჯღაბნია?! – მუშტი მოუღერა კომბლემ თამარს და ისევ გამალებით შეუდგა ალგებრის დავალების გადაწერას.

– კობახიძე! – ისევ აღვილად გამოარჩია ლოლაბრიჯიდამ კომბლეს როხროხა ხმა.

– მეე, მასწ? – ყასიდად გაიოცა კომბლემ. – ხმა არ ამომიღია, ვზივარ ჩემთვის პატიოსნად, თქვენ კიდევ ამომიჩემეთ და სულ კობახიძე, კობახიძეს იძახით...

– აბა, საწყალი, მამა აბრამის ბატკანი ხარ, ხომ იცი!

– მე-ე-ე-ეე... – დაიბღავლა ვიღაცამ უკანა მერხიდან. ატეხილმა ხარხარმა მასწავლებელს წონასწორობა დააკარგვინა.

– რომელი იყო?! სარსევანიძე, შენ იქნებოდი! გამაგებინე, სად იმყოფები?! და, საერთოდ, რა გემართებათ, რამ გადაგრიათ?!

– ... გაზაფხულის ბრალია... – წაუმღერა პასუხად კახამ. – კლასი კი არა, სამხეცეა... – გაანჩხლებულ ლოლაბრიჯიდას ბადრიჯნისფრად შეღებილი თმის ძირებიც კი გაუწითლდა. – ამ კლასში ყოველი შემოსვლა თითო წლის სიცოცხლე მიჯდება, რა გახდა ეს მეათე „ა“, რომ ვერ გავიგე?! ვისაც არ უნდა, ბატონო, ქიმია, შეუძლია დატოვოს კლასი, მე ძალას არავის ვატან, მაგრამ იცოდეთ... – სათქმელი ვეღარ დაამთავრა.

თამარი უხმოდ წამოდგა და კარისკენ გაემართა. დაბნეული მასწავლებელი მაშინღა მოეგო გონს, როცა თამარმა კარი გაიხურა... – ხომ ვთქვი, ველურები ხართ! ეს თქვენი ქალბატონი მათემატიკოსი ხომ... თავხედი, უზრდელი!.. მაგას, ეტყობა, თავში აუვარდა... გამომივიდა ესეც ლობაჩევსკი, მუსხელიშვილი.

– პითაგორა დაგავიწყდათ, მასწ, ევკლიდე, გალუა... – მიაშველა კახამ. – სხვათაშორის, ეს უკანასკნელი ასევე ახალგაზრდა იყო, როცა...

– სარსევანიძე! – ლოლაბრიჯიდა ისტერიულ კივილზე გადავიდა. – თავს იგდებ, მაგრამ არა უშავს, დამაცადე. შენც ჩემს ხელში არა ხარ?! – მერე ცოტა ჩაცხრა და შედარებით მშვიდად, ოღონდ ავად გამოსცრა: – სხვა საგნებში ექსიანებიც რომ ჰყავდეს, ქიმიაში სამზე მეტს ვერ ეღირსება ეგ თქვენი მარიამიძე... მე არ ვიყო ლოლა ორაგველიძე, თუ ეგ გავახარო... ვნახოთ ერთი, როგორ აიღებს მედალს!

ახლა, როცა შურისძიების გზა გამოუჩნდა, ლოლა მასწავლებელი ერთბაშად დაწყნარდა, და სწორედ ამ დროს დაიძრა ბოლო მერხიდან ლოხი კამეჩივით აუჩქარებლად ბექა იმედაშვილი.

– შენ საითღა მიბრძანდები, ვაჟბატონო? – წყნარად ჰკითხა ნერვებგადაქანცულმა მასწავლებელმა.

– თქვენ არა თქვით, ვისაც არ აინტერესებსო...

– ჰო, რა, ლოლა მასწ, ის კი არა, ორჯერაც გაგვიმეორეთ, და წავყვები მეც გლდანელს, რა იქნება. – კვლავ წაითნზაზა კახამ და ისიც კარისკენ გაემართა.

ნელ-ნელა მთელი კლასი წამოიშალა. მხოლოდ მაკა და თრითინა შეყოვნდნენ. მაკას ახალები მელლის ბრჭყვიალმა აათრევინა ფეხი, დაინახოს ლოლა მასწავლებელმა, რომ წასვლა არ მინდა, მაგრამ როცა ყველა მიდის, არც წაუსვლელობა შეიძლებაო. თრითინა კი ჩვეულმა შებოჭილობამ დატოვა კლასში. თან მაკას შიშიცა ჰქონდა. – შეიძლება მეც წავიდე? – მოახერხა და შეჰკნავლა მცირე ხნის შემდეგ გაოგნებულ მასწავლებელს, მაგრამ მის ისეთ მზერას გადააწყდა, რომ პასუხს აღარ დალოდებია, ისე გაიძურწა.

– სანებლიძე, შენ ხომ ხარ მოწმე, როგორ ჩაიშალა მარიამიძემ გაკვეთილი? – დაიგულა მომხრე ლოლაბრიჯიდამ. – მაცალონ, მაგათ ვაჩვენებ სეირს, კლასს რომ დავაშლევინებ, მერე ნახონ!.. ხვალვე მოვაწვევინებ პედსაბჭოს... ჰმ, მარიამიძის ოხტში მაინც ამოვალ, სხვა თუ არაფერი!.. შენი იმედი მაქვს, იცოდე!..

მაკამ თვინიერად დაუქნია თავი, რა თქმა უნდაო, და წასული ამხანაგების დასაწევად გაიქცა – მათაც ხომ უნდა ჩვენებოდა.

– კიხოტე! – პასტერის ქუჩის კუთხეში დაეწია თამარს კახას ხმა. – დაგვიცადე! – თამარს გაუკვირდა, რატომღაც არ უფიქრია, თუ დანარჩენებიც დატოვებდნენ გაკვეთილს. მაინცდამაინც არც ესიამოვნა. იცოდა, ლოლაბრიჯიდა არ შეარჩენდათ, მაგრამ მაინც არ უნანია თავისი საქციელი. შარშანდელი ამბის შემდეგ ვეღარა და ვეღარ მოიბრუნა მასზე გული, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ალბათ საერთოდ არ ივლიდა ქიმიის გაკვეთილზე... იმ დღეს ფიზკულტურის ფორმა დარჩა მერხში და შინ მიმავალი შუა გზიდან დაბრუნდა. კლასის კარი შეაღო და... შეცბა – ლოლაბრიჯიდა ზურგით იდგა და ნატო ჯინჯოლავას დედა კაბას აზომებდა, ისევე, ჩაუცმელად, ბეჭებზე მიედო და ისე. – მხრებშიც მშვენივრად გაქვთ, ქალბატონო ლოლა, სიგრძითაც ნორმალურია... შეიძლება მაჯებს დასჭირდეს ოდნავ შეკეცვა. მე კი ისე ვღელავდი, ვაითუ არ მოერგოს-მეთქი... თუ ფერი არ მოგწონთ, გამოგიცვლით...

ისე იყვნენ გართულები, არც ის გაუგიათ, კარი როგორ გაიღო და არც ის, როგორ დაიხურა. რაღას შევიდოდა, გაოგნებული თამარი სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. ნანახის შესახებ კრინტი არავისთან დასცდენია, მაგრამ როცა მეორე დღეს ლოლაბრიჯიდა ამ კაბით მივიდა გაკვეთილზე, თამარი მიხვდა, რომ ეს ქალი, როგორც მასწავლებელი, აღარ არსებობდა მისთვის.

– სად მიდიხარ, თამარ? – ჰკითხა მიახლოებულმა ზაზამ.

– რა ვიცი... ალბათ იპოდრომზე წავალ.

— მეც რომ წამოვიდე?

— როგორც გინდა.

ზაზას და თამარს კახა, ბექა, ქეთი და მაკაც შეუერთდნენ. რამდენიმემ კინოში ირჩია წასვლა. დანარჩენებმა მთაწმინდაზე გადაწყვიტეს ასვლა. – დიდა მასწავლებელი ძალიან არის გაბრაზებული და... – შესჩივლა ამხანაგებს თრითინამ.

— მიდი, თრითინ, რა ქენი, იცი, შენ დაბრუნდი, დედას გეფიცები, ჩვენ ცუდს არაფერს ვიფიქრებთ შენზე. – გაათავისუფლა კახამ მფრთხალი ამხანაგი, მაგრამ თრითინას მარტო დაბრუნებისაც შეეშინდა და ისევ იპოდრომზე წამსვლელებს შეუერთდა. საცხენოსნო სპორტის სეზონი ჯერ არ გახსნილიყო და იპოდრომის მწვანე მინდორზე ორად ორი – ჩალისფერი ფეხკავშა და ერთიც ფორეჯბიანი – ნებაზე მიშვებული ცხენი მიმოდიოდა ზანტად. ტრიბუნებზე კი საერთოდ არავინ ჭაჭანებდა. ზედა რიგში ჩამოსხდნენ.

— მიდით, ახლა ჯიბეები მოიჩხრიკეთ და მაყუთი ჩამოყაჭეთ, იქნებ რამე საჭმელი ვიყიდოთ, თორემ შიმშილით სული მძვრება, – ჩამოუარა ამხანაგებს კახამ, მუჭით ხურდა ფული ააჩხრიალა, ზაზა გაიყოლა და გადაღმა პურის მაღაზიისაკენ გაიქცა.

— აუჰ, ბექა, წამო რა. ცხენზე შემსვი, – მოინდომა ქეთიმ, და ბექამაც, როგორც ყოველთვის, „კი ბატონო“ შეაგება მის სურვილს.–

— შეიძლება მეც წამოვიდე? – მორიდებით იკითხა თრითინამ.

— შენ რაღა გინდა, დარჩი! – უბრძანა მაკამ და ისიც დაემორჩილა.

გოგოები დაწინაურდნენ.

— არ გინდა რა, ბექა, ეგ ცხენები არავის მიიკარებენ... – შეაჩერა ბექა თამარმა.

— ჰო, რა ვიცი, აიჩემეს და... – მხრები აიჩეჩა ბექამ და მაკას და ქეთის წამოეწია.

— თამარი ამბობს, ეგ ცხენები არავის მიიკარებენ და ტყუილად ნურც ეცდებითო.

— ოხ! რახან ეგ იტყვის! – ამრეზით შეხედა თამარის რჩევას მაკა.

— რატომ იცი ხოლმე ეგრე? – შეეკამათა ქეთი.

— რატომ და ყველაფრის მცოდნედ რომ მოაქვს თავი, იმიტომ, რა იცის ახლა მაგან, მიგვიკარებენ თუ არა ცხენები! უბრალოდ...

— მორჩით ახლა! – აღარ დაამთავრებინა ბექამ. – წამოდით, თავლაში მივიდეთ, იქნებ თვინიერი ცხენები მოგვცენ...

— ჰო, ყველაფერში მაინც მაგისი სიტყვა უნდა გავიდეს... – აბუზღუნდა მაკა. ვერაფრით ვერ მოენელებინა თამარის პირველობა. ისე მიაღწიეს მეათე კლასამდე, მისდამი შური არ განელებია, სულ ჯიბრში ედგა. თვითონაც კი ფრიადოსანი იყო, მაგრამ თამარი... მათემატიკურ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მის მიერ მოპოვებული სიგელ-დიპლომებით მათი საკლასო ოთახის ოთხივე კედელი დაიფარებოდა. ჰმ! მათემატიკის მასწავლებელი ისე ევლება თავს, გეგონება, მოსწავლე კი არა, ვინმე დიდი მეცნიერი იყოს! სხვებიც თვალებში შესციცინებენ, ახირებულ ხასიათსაც ადვილად აპატიებენ, ბატონო! მარიამიძე? ოო, მარიამიძე სკოლის თვალია... ჩვენი სიამაყეაო... უთუოდ ძალზე დიდი მომავალი აქვსო... გამორჩეული ნიჭით არის დაჯილდოებულიო... ამას ისიც დაემატა, რომ მაკას ზაზა მოსწონდა, ზაზა კი თამარზე იყო შეყვარებული და თამარი თავისდა უნებურად თანაკლასელის მუდმივ გამღიზიანებლად იქცა. სულ თამართან ჰქონდა მაკას საქმე – საკონტროლო იყო და, თავისი ნიშნის შემდეგ მისი ნიშნით ინტერესდებოდა; ექსკურსია იყო და, ჯერ იმას დაადგენდა, თამარი თუ მიდიოდა; ჩოგბურთზე სიარულიც მისი წამხედურობით დაიწყო, თამარს არ ჩამორჩეო.

— იცი, – უთხრა ერთხელ კახამ, – შენი საქციელი სპორტულ შეჯიბრებას მაგონებს. ლიდერი წინ მიდის და მეორე სპორტსმენი მისდევს, მის სიჩქარეს აყოლილი. შენ ის მეორე ხარ, ლიდერის გყავს ისეთი, დაწევით ვერ დაეწევი, მაგრამ მისივე წყალობით შეიძლება სხვა დანარჩენებზე უკეთესი შედეგი კი აჩვენო.

ახლაც იმიტომ მოინდომა იპოდრომზე წასვლა, რათა ის შესაძლებელი სიამოვნება ამცდეს, რაც, ვინ იცის, თამარს ელოდებოდა, თორემ კინოში წასვლა ერჩია.

თამარი კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. შავი და ყვითელი წერტილები ათამაშდა თვალწინ. გაზაფხულის მზე საამოდ ელამუნებოდა პირისახეზე.

ო, რა ცხენი ჰყავდა დართლოელ გაბრო იდოიძეს! შეეხვეწა, შეჰპირდა, მაგრამ სწორედ მეორე დილით არ წაჰყვარა ვიღაც გადამთიელმა?! შენ ფიქრი უნდა გაქვს, დღესვე დაგიბრუნებ და გაჭენებინებო, მაგრამ იმ დღეს კი არა, არც მეორე დღეს გამოჩენილა გაბრო, ხოლო მესამე დღეს ისინიც დაიძრნენ ფარსმისაკენ...

— თამარ, როგორ ფიქრობ, მშობლებს დაგვიბარებენ? – თრითინას გაუბედავმა ხმამ თუშეთიდან დააბრუნა.

— ნუ გეშინია, თრითინ, თუ მშობლების დაბარებაა, ჩემები უნდა დაიბარონ, თქვენ რა შუაში ხართ?

— იტყვი რა, შენს მშობლებს ვინ დაიბარებს?

— აბა მაშინ არც თქვენებს დაიბარებენ. დამშვიდდი, თვალები დახუჭე და ნურაფერზე იფიქრებ... თუმცა, შეგიძლია შენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე გაიხსენო...

კი დახუჭა თრითინამ თვალები, მაგრამ, ეტყობა, ისე უცებ ვერც ერთი ბედნიერი დღე ვერ გაიხსენა, მაშინვე ისევ გაახილა და ზაზა და კახა დაინახა. ვიღაც მესამე ბიჭიც ახლდათ. აღარც თამარს დასცალდა ფიქრით მთაში დაბრუნება.

— ო, მაპატიეთ, პრინცესა, ოცნება შეგაწყვეტინეთ, მაგრამ... ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ – ეს ის ზღვისგაღმელი უფლისწული გახლავთ, რომელსაც თქვენ მთელი სიცოცხლე ელოდით... ეს კი, მშვენიერო უფლისწულო, მათემატიკაზე უგონოდ შეყვარებული ჩვენი პარალელოგრამების პრინცესაა, შეუმჩნევლად მომხიბვლელი, იდუმალებით აღსავსე და... დანარჩენს თავად მიხვდებით.

— „პარალელოგრამების პრინცესა?“ – ასე, მგონი, ბაირონი უწოდებდა თავის ცოლს?

— აფერუმ თქვენს განსწავლულობას, უფლისწულო! სწორედ ასე გახლავთ და ჩვენი პრინცესა...

— გეყოს ახლა! – შეაწყვეტინა კახას გაღიზიანებულმა ზაზამ.

— ნება თქვენია, დიდვაზირო!

— თამარი, – ხელი გაუწოდა თამარმა უცნობს.

— არჩილი.

— ... და ჩემი მეზობელი. გვერდით სადარბაზოში ცხოვრობს. – დააყოლა კახამ, – ნიკოლაძეში სწავლობს: ნახე, როგორ ხატავს! – ლამის ძალით გამოართვა არჩილს საქაღალდე და ნახატების თვალიერება დაიწყო.

თამარმა უხერხულობა იგრძნო.

— მოიცა, კახა, იქნებ ადამიანს სულაც არ უნდა, რომ მისი ნახატები ვნახოთ.

— არა, რატომ, ნახეთ... უბრალოდ, ჩანახატებია თანაც სულ ცხენებისა.

— ჰოდა, კიხოტეც ცხენების გიჟი გვყავს, – კახამ უკვე ნანახი რამდენიმე ფურცელი თამარს გადასცა. – რა გაგიკვირდა, პრინცესას ძირითადად დონია კიხოტე ჰქვია, ჩემი ნაიდულია.

— ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ჩვენი კლასელი, – ჩაურთო ზაზამ.

— ... და მასწავლებლებიც, – ხმა ამოიღო კუთხეში მიყუჟულმა თრითინამ.

— აჰ, თრითინ, სიკვდილსაც დავიწყებიხარ! არჩილ ეს ჩვენი თრითინაა, ყოვლად უწყინარი და უბოროტო ადამიანი.

თრითინამ მორცხვად გაუწოდა არჩილს ხელი.

თამარი ჩანახატებს ათვალიერებდა და თან გრძნობდა, როგორ უნდოდა არჩილისთვის შეეხედა, მაგრამ რაღაც ხელს უშლიდა. „ჰმ, უცნაურია...“ – თავისი თავისა გაუკვირდა.

— სხვები სად არიან? – ახლაღა მოიკითხა კახამ დანარჩენები. – გადავრჩით ბუბლიკების დღენას, ყველანი არი-

ლთან მიუდივართ. გუშინ დაბადების დღე ჰქონია და ნამცხვრობაზე გვეპატიჟება.

— გუშინ ჯერ კიდევ არ გიცნობდით, თორემ... — უხერხულად მოიბოდიშა არჩილმა.

— ეგ არაფერი, ნამცხვრობა უფრო კარგი ვარიანტი არ არის? — მიეხმარა კახა, მერე ისევ იკითხა, ბექა და გოგოები სად არიანო და, რომ გაიგო, ცხენზე შესაჯდომად წასულიყვნენ, აწრიალდა.

— ბიჭო, რა იციან მაგათ ცხენზე ჯდომა, ნაღდად გადმოვარდებიან და უყარე მერე კაკალი. წავიდო რა, ზაზა, იქნებ ჯერ კიდევ მივუსწროთ კისერმოუტეხელებს და გადავაფიქრებინოთ.

ზაზას აშკარად არ უნდოდა წასვლა, მაგრამ უარი ველარ უთხრა და ფეხათრევით გაჰყვა, ხოლო როცა რატომღაც თითქმინაც აედევნათ, საბოლოოდ დაიბოდმა. კიბე რომ ჩაათავეს, ერთი დაბღვერილმა ახედა თამარსა და არჩილს და ისე გაუტია, ამხანაგები ველარ ეწეოდნენ.

— თქვენ ხშირადა ხართ ხოლმე აქ? — ჰკითხა არჩილმა თამარს.

— როცა ცხენები ძალიან მომენატრება... მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებ. ახლაც გაკვეთილებიდან წამოვედი და...

— ვიცი, კახამ მითხრა. ცხენზე თუ მჯდარხართ?

— კი, — გაეღიმა თამარს, — მთაში როცა ვარ ხოლმე... ხევსურეთში, თუშეთში...

— კიდევ სად ხართ ნამყოფი?

— სვანეთში.

— მშურს თქვენი, მთელი საქართველო დაგივლიათ.

— არა, ჯერ სად არის... თქვენ რაღა გიშლით, მხატვრისთვის ხომ აუცილებელიც კი არის.

— აი, თქვენ თუ წამიყვანთ... ნუ გეშინიათ, სიარულიც შემიძლია, შიმშილსაც მოვითმენ, წყურვილსაც, დაღლილობასაც.

ორივეს გაეცინა.

— მართლა ასე გიყვართ მათემატიკა? მერე, არა გწყინდებათ ეს უსაშველო განტოლებები, თეორემები, ფორმულები?

— არა მწყინდება, — იწყინა თეორემებისა და განტოლებების მაგივრად თამარმა.

წუთით უხერხულობა ჩამოვარდა. უხმოდ უყურებდნენ მინდვრის კიდემდე მოსულ ცხენებს. ამასობაში დანარჩენებიც გამოჩნდნენ და თამარს გულზე მოეშვა.

— აბა, ახლა ცერემონიების დრო აღარ არის! ეს არჩილია, ჩემი მეზობელი, გუშინდელი მედღეობე და ჩვენი დღევანდელი მასპინძელი; ეს — ბექას ქალღმერთი ქეთია; ეს — სრული და მუდმივი ფრიადოსანი მაკა, ეს კი ჩვენი ბეჭდაუდებელი ფალავანი ბექა გლდანელი. წავედით, არა, არჩილ? — გაარიგა საქმე კახამ.

— ჰო, რა თქმა უნდა, წავედით და მოდით, რა, არაფრისა მოგერიდოთ, ყველანი ძალიან შინაურულად იყავით...

არჩილი და კახა დატრიალდნენ, გოგოებიც მიეხმარეს და სულ მალე არჩილის მომცრო ოთახში ისეთი სუფრა გაშალეს, თვითონვე იცინოდნენ, ეს თუ ნამცხვრობაა, გუშინ რაღა იქნებოდაო. ყველას მართლაც შიებოდა და სუფრას რომ მიუსხდნენ, მცირე ხნით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. კახამ ამხანაგებს გადახედა და სიცილი წასკდა.

— რა ექნა, რა სუფრი კომბაინებივით ირჯებით?რა იყო, მტრი ოჯახში ხო არა ხართ, ხალხნო?! ქებები დაასვენეთ! — მოუქცია კახურად და ერთბაშად ყველა გაამხიარულა. — შენ არა, ბექავ, შენ არა! პირიქითა, კაცო, მიდი, ღონივრად მაიქნიე ყბა, ჯანში წავა, ხვალზეით შეჯიბრებაზე ხარ გამოსასვლელი და შენ რო ვინმემ წაგაქციოს. აი, შენ რო ვინმემ წაგაქციოს, არა?! არ ვიცი, ძმაო!..

საერთო სიცილ-ხარხარში თამარმა არჩილის დაჟინებული მზერა იგრძნო, შეცბუნდა, დაიბნა და გვერდით მჯდომ ზაზას სასხვათაშორისოდ რაღაც ჰკითხა

გუშინდელიდან გადარჩენილი ერთი ბოთლი შამპანურით არჩილით აღდგრძელეს და წამოიშალნენ.

— მოდით რა, ნელ-ნელა ავალაგოთ, — წამოიწყო ქეთიმ, სხვებმაც დაუჭირეს მხარი და რამდენიმე წუთში ყველაფერი დააბინავეს, ჭურჭელიც დარეცხეს. მერე კი არჩილს კითხვა შეუგზავნეს, ნეტავ ნამცხვრობისათვის ყავაც ხომ არ გადარჩა ამ სახლშიო. არჩილმა უმალ გამოულაგა ქილით ყავა. შაქარი, ყავის საფქვავი და სახარში. ქეთი ყავის თადარიგს შეუდგა, დამხმარედ ბექა დაიტოვა, დანარჩენები კი ოთახში დაბრუნდნენ.

კახას ფირფიტები შეერჩია.

— ქალბატონებო და ბატონებო, ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ რეტრო. „განშორება“, სიტყვები ალევკისა, ასრულებს ჯაზ-ორკესტრი ალექსანდრე ცვასმანის ხელმძღვანელობით. გთხოვთ!

არჩილი თამარს მიუახლოვდა, თავი დაუკრა და საცეკვაოდ გაიწვია. თამარი წამით შეყოყმანდა, მაინცდამაინც კარგად ვერ ვცეკვავო, და გაჰყვა. ხრინწმორეული გაცვეთილი ფირფიტიდან მამაკაცის სევდაგარეული ხმა ბანალური სიყვარულის ამბავს ყვებოდა. სწორედ მაშინ გამოტყდომილა ქალი გულდამწვარ მიჯნურს, არ მიყვარხარო, როცა დაღლილი მზე ნაზად ემშვიდობებოდა ზღვას. ახლანდელი ფირფიტებისაგან განსხვავებით, ძველის თითო მხარეს თითო ნაწარმოები იყო ჩაწერილი, ისე რომ, მოცეკვავეებმა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ძლივს მოასწრეს და ფირფიტაც დამთავრდა.

— ბატონებო, ბატონებო, დაიტოვეთ თქვენ-თქვენი მანდილოსნები. ფოქსტროტი „ჩაშლილი პაემანი“, გთხოვთ! — არ იღლებოდა კახა.

— ოოო, რა გააჭირე?! ვინ იცის ეგ ბებიაშენისდროინდელი ფოქსტროტი! მიდი, რა, რამე ნორმალური დადე, — გამოსძახა სამზარეულოდან ქეთიმ.

— რა ცოდნა უნდა! — არ დაეთანხმა კახა. — აბა, თითინ, გთხოვ! — და მსუბუქად გაიყოლა თითინა.

— შენ არ ხუმრობ, აი! მშვენიერი ცეკვა გცოდნია და რატომ მალავდი?

— რას ემალავდი, უბრალოდ, არასდროს არ გავუწვევივარ არავის... — გახალისდა თითინა.

ზაზა უნდილად აცეკვებდა მაკას. ცალი თვალი არჩილისა და თამარისკენ გაურბოდა. მაკასაც მხედველობის არეში ჰყავდა ეს წყვილი.

ფოქსტროტიც მალე დამთავრდა.

— ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით, ბატონებო!

თამარი და არჩილი უხერხულად იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. რა უსასრულო აღმოჩნდა ეს ერთი წამი! უცებ თამარს საკუთარ თავზე ბრაზი მოუვიდა, რა სასაცილოდ ვდგავარო, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს მუსიკაც გაისმა და მოცეკვავეები მის წყნარ რიტმს აყვნენ. არჩილმა კვლავ გაიყოლა თამარი, მას კი რაღაცნაირად ხელ-ფეხი დაებორკა, რობოტივით მოძრაობდა. ბრაზობდა საკუთარ თავზე, ერთი პირი დასაჯდომადაც გაიწია, მაგრამ პარტნიორმა არ გაუშვა.

— პრინცესა, თქვენ მშვენიერი თვალები გაქვთ... ფიქრიანი და მოციმციმე, ოღონდ, მგონი, მშიშარა თუ მორცხვი... ან სულ თვალდახრილი ხართ, ან განზე იყურებით. როგორ შეიძლება ასეთი თვალების დახრა? — გაუღიმა არჩილმა.

თამარი უარესად დაიბნა. ახლაც განზე იყურებოდა. არჩილის ნამუშევრებს ათვალიერებდა კედელზე. მარტოხელა ნავი ტბაზე. ბიჭის პორტრეტი. ყარყატები ჭაობიანში. ცხენები. მთვლემარე მოხუცი. თეთრი ცხენი. დილილოები...

ნელა ტრიალებდნენ. იტალიელი ნინო როსი უპასუხოდ დარჩენილ მწარე სიყვარულზე მღეროდა, თამარს ეჩვენებოდა, რომ მძიმედ ცეკვავდა, რამდენჯერმე რიტმიდანაც ამოვარდა. ერთ მომენტში მაკას დამცინავი გამოხედვაც დაიჭირა და ერთბაშად გაჩერდა.

— მოხდა რამე? — გაუკვირდა არჩილს.

— არაფერი არ მომხდარა, უბრალოდ, ცეკვა აღარ მინდა.

– მოუჭრა თამარმა, შებრუნდა და კინაღამ ბექას გადააწყდა, რომელსაც ლანგარზე დაწყობილი ყავის ფინჯნები შემოჰქონდა დაძაბული სიფრთხილით. დაუფიქრებლად აიღო ფინჯანი და ტახტის კუთხეში ჩამოჯდა.

– თამარი, ეტყობა, მოუჩვეველზე დაიღალა, – ყველას გასაგონად შენიშნა მაკამ. თამარს ხმა არ ამოუღია. – მეუღლეებს ხომ არ გაწყვენინებთ, უხერხულია, ზაზა, შენ ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო, მე რომ პარტნიორი გამოგიცვალო? – მაკამ დაბნეულ არჩილთან გადაიხარა.

ფირფიტას დასასრული არ უჩანდა.

„აი, ახლა ყავას დავლევ და მაშინვე წავალ... წავალ და აღარც ეს „უფლისწული" გამახსენდება და აღარც აქაურობა"... თამარი აჩქარდა და პირიც დაითუთქა ყავით.

– არჩილ, შეკვეთებს არ ღებულობთ? ჩემი პორტრეტი დახატეთ, იცით, რა დამჯერე მოდელი ვიქნები? საათობით შემიძლია პოზირება, ხომ დამხატავთ? – სწორედ მაშინ მოინდომა მაკამ, როცა თამარის სიახლოვეს აღმოჩნდნენ.

– დაგხატავთ, ოღონდ ეს დღეები არ მეცლება და მერე – კი, ბატონო.

– მითხარით, როდის დაგირეკოთ და მე თვითონ დაგიკავშირდებით, ან, თუ გინდათ, თქვენ დამირეკეთ: 23-91-31.

თამარი წამოხტა, კარგად იყავითო და კარისკენ გაეშურა. სახტად დარჩენილმა არჩილმა ცეკვა შეწყვიტა, თამარის კარამდე მიცილება მოინდომა, მაგრამ ის უკვე კიბეზე ჩარბოდა. შეცბუნებული შემობრუნდა. გაკვირვებულმა მოავლო თვალი გოგო-ბიჭებს.

– ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩვენ შეჩვეულები ვართ მაგის პოხონდრიებს, ამით თავის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს, ასეთი ექსტრავაგანტური გვყავს და საერთოდ... – იხელთა მაკამ.

– ყავა გაგიცივდა, – შეაწყვეტინა ქეთიმ, – შენ, მგონი, ტკბილი გიყვარს, რა ვიცი, მე თითო კოვზი შაქარი ჩავყარე...

– მეც წასასვლელი ვარ, – წამოდგა ზაზა.

– რა მოგივიდა, ცოტაც მოიცადე და ყველანი ერთად წავალთ, აბა აქ ხომ არ დავაღამებთ, – შეაყოვნა ბექამ. ფირფიტა დამთავრებულიყო და ახლა საკრავის ნემსი უსიამოვნოდ ფხაჭნიდა მას...

* * *

კარი ბებიამ გაუღო.

– რატომ შეგაგვიანდა? რამდენჯერ გაგიცხელ კერძი... აბა, მარდად, ტანზე გამოიცვალე და მოდი. გულბაათმა და გარსევანმა უკვე ისადილეს და ეზოში ჩაცვივდნენ.

– არ მინდა, რა ბებო, არა მშია... მერე იყოს.

დერეფანში, სარკესთან შეყოვნდა. – „პრინცესა, თქვენ ლამაზი თვალები გაქვთ" – შუბლიდან თმები გადაიწია. „ოღონდ, მგონი, მშიშარა თუ მორცხვი". სისულელეა, ჩვეულებრივი თვალები მაქვს. თვითონ როგორიღა თვალები ჰქონდა? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მისთვის სულ ერთი არ არის?! ნეტავ რას გამოვარდი, რა მომჩვენა? რას იფიქრებდა არჩილი? ოჰ, ერთი, რაც უნდა, ის იფიქროს...

საწერ მაგიდაზე ძმების გადაშლილი მათემატიკის სახელმძღვანელოები დახვდა, ფურცლის ნაგლეჯზე ნაჩქარევად მიეჯღაბნათ: „თამარ, მე № 1081 ვერ გამოვიყვანე. გულბაათი. მე კიდევ – № 907. გარსევანი". გაეღიმა. ეზოში გადაიხედა. ბიჭები ველოსიპედს დააქროლებდნენ. ამოცანებს დახედა: „*A* და *B* პუნქტებიდან ერთდროულად გამოვიდა ორი მატარებელი..." „ერთმა ბრიგადამ პირველ დღეს..."

– თამარ, გენაცვალე, საბა იყო წეღან, რაღაც წიგნები მოგიტანა, ამოცანებიაო... ნეტავ, რას გიმარჯვებს?! თუ ეგრე გადაჰყვები მაგ შენს მათემატიკას, და მთელი სიცოცხლე ამოცანებს უჯექი, გაუთხოვარი დარჩები და იყავი მერე კაპეტივით...

თამარს გაეცინა და საბას მოტანილ წიგნებს ჩაუჯდა. თავი მაშინღა ასწია, როცა ბიჭებმა კარზე რეკვა ატეხეს. შემოცვივდნენ ცხვირ-პირმომტვრეულები, ხელები ისეთ დღეში ჰქონდათ, გეგონებოდათ, შავი ხელთათმანები უკეთიათო. ერთს ველოსიპედის ბორბლები ჰქონდა გულში ჩაკრული, მეორეს – მისი ყველა დანარჩენი ნაწილი. ბებიას გულზე შემოეყარა: – ეს რა გიქნიათ?! ეს არის თქვენი ორი დღის წინ ნაყიდი ველოსიპედი?! რისი ღირსები ხართ?! თამარ, ერთი გამოხედე, ამ... ამ უკუღმართებს!

– კარგი რა, ბებო, შენ სულ ეგრე იცი, რა მოხდა?! რაღაც მოვიგონეთ, უნდა გადავაკეთოთ, ნახავ, როგორ ველოსიპედს გავაკეთებთ, ყველანი დავეტევით ზედ.

– რა ნახვა მინდა, ისედაც კარგად ვიცი, რასაც გააკეთებთ – პირწმინდად დამლით და ჭანჭიკებსა და ქანჩებს მთელ სახლში მოაღაგებთ, მე კიდევ უნდა ვიარო და ვკრიფო! მოვიდნენ ერთი დედათქვენი და მამათქვენი!.. ახლავე აივანზე გაიტანეთ ყველაფერი, ხელები სულ ჯაგრისით დაიხეხეთ. პირიც საპნით დაიბანეთ, იცოდეთ, თუ პირსახოცზე შავად დაგიტყვიათ თქვენი ხელები, მაგრად გაიტყეპებით! – დაუტატანა ბებიამ „გამომგონებლებს".

გულბაათი და გარსევანი ბუზღუნით შეუდგნენ ხელ-პირის ბანას. თამარი თავზე ადგათ, თორემ ისე საპონს თითსაც არ დააკარებდნენ, უბრალოდ ხელებს დაისველებდნენ, იმ სველ ხელებს პირზე მოისვამდნენ და პირსახოცს რომ არ შესტყობოდა, სულაც არ გაიმშრალებდნენ. დაბანილ-გალამაზებულებს თამარმა ქოჩრები გადაუვარცხნა, დაკოცნა და ამოუხსნელი ამოცანების გასაკეთებლად დასხა. დაწვრილებით აუხსნა, გააგებინა და იმათაც სულ იოლად აუღეს ალღო. რა ადვილი ყოფილაო, მერე ისიც დაამატეს, რა იქნებოდა, სულაც შენ ყოფილიყავი ჩვენი მასწავლებელიო. ძალიან კარგი მასწავლებელი გვყავს ერთსაც და მეორესაც, უბრალოდ ყურს არ უგდებთ და იმის ბრალიაო, – თითო წამოარტყა თამარმა.

– აუჰ, თამარ, იცი, ჩვენ რა მოვიფიქრეთ? ველოსიპედის ჩარჩოს დავაგრძელებთ, კიდევ ერთ საჭეს დავუყენებთ, ოთხ ბორბალსაც ვიშოვით და... – დაიწყო თვალებგაფართოებულმა გულბაათმა, მაგრამ ამ დროს ძმამ გამოსძახა, ბიჭო, ტელევიზორში მულტფილმები იწყებაო და იმასაც უმალ გადაავიწყდა მრავალბორბალსაჭიანი ველოსიპედის იდეა. თამარიც ჩამოჯდა მულტფილმების საყურებლად, მაგრამ მაშინვე ტელეფონმა დარეკა. ზაზა იყო, როგორა ხარო, ჰკითხა, ჩვენც მალე წამოვედითო, დაუმატა და დაემშვიდობა. ცოტა ხანში ქეთიმაც დაურეკა, რას გამოვარდი, რა მოგელანდა, ნეტავ ვიცოდეო. თამარს გაეღიმა, რა უნდა ეპასუხნა, როცა თვითონაც არ იცოდა, რა „მოელანდა"...

პირველი გაკვეთილი რუსული ჰქონდათ. ის-ის იყო „მშვენიერმა ელენემ" სიის ამოკითხვა დაამთავრა და მაკა სანებლიძეს „არა" ჩაუწერა, რომ კარი გიორგი მასწავლებელმა შემოაღო.

– მაპატიეთ, ქალბატონო ელენე, თუ შეიძლება, მარიამიძეს გავიხმობ ერთი წუთით.

კლასი გაიტრუნა. „იწყება", გაუელვა ყველას. დამრიგებელმა თამარი ფიზკულტურის დარბაზის მხარეს, მყუდრო კუთხისკენ წაიყვანა.

– ამიხსენი ერთი, რა მოხდა, თორემ ლოლამ ისეთი ამბავი ატეხა... გუშინვე ვეძებნივარ დირექტორს, მაგრამ ჯიბრზე სწორედ გუშინ წავედი ცოტათი ადრე, მერე ღამით დამირეკა, ასე და ასე, შენმა კლასმა დემონსტრაციულად დატოვა ქიმიის გაკვეთილი და ისტორიაც მიატოვაო... ყველაფრის წამომწყები კი შენი მარიამიძე იყოო... შალვა დილიდან განათლების განყოფილებაში წავიდა და რომ დაბრუნდება, ალბათ გამოგიძახებთ შენც და დანარჩენებსაც...

თამარმა მშვიდად უამბო ყველაფერი ზუსტად ისე, როგორც იყო.

– ლოლა მასწავლებელი პედსაბჭოს მოწვევას ითხოვს, მშობლების გამოძახებას და ზომების მიღებას... ვნახოთ, ერთი სიტყვით... ახლა კი კლასში დაბრუნდი.

---

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# მსოფლიო კიდით კიდემდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აშშ

### გოგონებს ალკოჰოლი და სიგარეტი ღუპავს

ქვეყნის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა სავალალო შედეგები აჩვენა: ექვსი ამერიკელი ახალგაზრდიდან ყოველი მეორე სვამს, ხოლო მათი 18-20 პროცენტი ეწევა. ამასთან, თურმე გოგონები უფრო ადრე იწყებენ სმასაც და სიგარეტის მოწევასაც და ეს მაშინ, როცა თამბაქოც და ალკოჰოლიც მოზარდ გოგონებზე გაცილებით უარყოფითად მოქმედებს, ვიდრე მათ თანატოლ ბიჭებზე.

## კანადა

### ვინი – პუჰის მეგობართა ზეიმი

50 ათასზე მეტმა ბავშვმა და უფროსმა მოიყარა თავი კანადის ქალაქ ვინიპეგში გამართულ ფესტივალზე „ვინი-პუჰის მეგობართა დღე“. ვინიპეგი ვინი-პუჰის, იმ ნამდვილი მკერა დათვის ბელის სამშობლოა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბავშვო ლიტერატურული პერსონაჟის პროტოტიპი გახლავთ.

1914 წელს გარი კოულბურნმა, რომელიც კანადის ჯარში გადიოდა სამსახურს – უდედოდ დარჩენილი დათვის ბელი შეიფარა. დათუნიას იმ ქალაქის პატივსაცემად, სადაც ჯარისკაცი დაიბადა, ვინი დაარქვეს.

ამასობაში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და გარი კანადის კონტინგენტის შემადგენლობაში ევროპაში გაამწესეს. მან ვინიც თან წაიყვანა, მაგრამ მალე კოულბურნი „კონტინენტზე“ მიავლინეს და იგი იძულებული გახდა დათუჩა ლონდონის ზოოპარკში დაეტოვებინა. ზოოპარკის ხშირ სტუმართა შორის მწერალი ა. მილნი და მისი შვილი კრისტოფერ რობინიც იყვნენ. ყველაზე დიდხანს მამაშვილი ვინის ვოლიერთან ყოვნდებოდა. ყოველივე ამის შედეგად 1926 წელს გამოვიდა პირველი წიგნი ვინი-პუჰის შესახებ, რომელსაც მერე და მერე მომდევნო გამოცემები მოჰყვა.

## ინგლისი

### ბავშვებმა იხუმრეს, ბუშმა კი ვერ გაუგო

დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს საგანგებო მოთხოვნით ბრიტანეთის პოლიციამ მკაცრად გააფრთხილა ბაკინჰემშირის საგრაფოს სკოლის ორი არასრულწლოვანი მოსწავლე, რომლებიც აშშ-ს პრეზიდენტს, უმცროს ჯორჯ ბუშს მოკვლით დაემუქრნენ. მოსწავლეები ირწმუნებიან, რომ იხუმრეს და წერილი ელექტროფოსტით თეთრი სახლის ოფიციალურ მისამართზე ინტერნეტში თავის შესაქცევად გაგზავნეს. მაგრამ ვაშინგტონში მათი ხუმრობა ტერორისტულ მუქარად აღიქვეს. დაზვერვის სამმართველომ უმალ გამოითვალა კომპიუტერი, საიდანაც აშშ-ს პრეზიდენტს მუქარა გაუგზავნეს. ამერიკელთა მოთხოვნით ბრიტანეთის პოლიციამ დაადგინა ორი 15 წლის ტერორისტის ვინაობა. სკოლის ადმინისტრაცია შეპირდა პოლიციას, რომ დასჯის ხულიგნებს, თუმცა დასჯა სკოლიდან გარიცხვას არ გულისხმობს.

## გერმანია

### პირველკლასელი თავს არავის აჩაგვრინებს

ქალაქ ესენის პოლიციას საჩივრით მიმართა ადგილობრივი სკოლის ექვსი წლის პირველკლასელმა ბიჭუნამ, რომელმაც საკუთარი მასწავლებელი სხვისი საკუთრების მითვისებაში დაადანაშაულა. როგორც გამოირკვა, პატარა მაქსიმილიანს სკოლაში პირის გარმონი მიუტანია და არითმეტიკის გაკვეთილზე უკრავდა. დისციპლინის დარღვევისთვის მასწავლებელს მუსიკალური საკრავი წაურთმევია და უთქვამს, ხვალ დაგიბრუნებო. მაგრამ განაწყენებული პირველკლასელი ხვალინდელ დღეს აღარ დაელოდა და ახლობელი ტელეფონ-ავტომატით პოლიციაში დარეკა და შესჩივლა, გამქურდესო. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მაქსიმილიანს ისიც აუხსნეს, რომ გაკვეთილზე მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა აკრძალულია და ისიც, რომ რაღაც უმნიშვნელო ამბების გამო პოლიციის შეწუხება არ შეიძლება.

## ჩეხეთი

### ბავშვებს სასმელს ველარ მიჰყიდიან

ჩეხეთის რესპუბლიკაში მკვეთრად გაამკაცრეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 18 წლის ასაკამდე მოქალაქეებისთვის სპირტიანი სასმელების მიყიდვისთვის. აკრძალვის დამრღვევებს მარტო ჯარიმა კი არა, სამართალში მიცემაც ემუქრება. ეს აკრძალვა უკვე მოქმედებს. ამას წინათ ქალაქ ოლომოუცის ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის გამყიდველის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მან ადგილობრივი სკოლის 14 წლის მოსწავლე გოგონას მიჰყიდა ალკოჰოლი. გოგონამ რომის ნახევარლიტრიანი ბოთლი გამოცალა და ემძიმესი მოწამვლის დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა. გამყიდველს ერთწლიანი პატიმრობა ელის.

ბუნების კუთხე

# იცით რა გონიერია ყვანჩალა?

რუხი ყვავი გაბედული, საზრიანი, ფრთხილი და საოცრად სიცოცხლისუნარიანი ფრინველია. იგი კარგა ხანია მიხვდა, რაოდენ ხელსაყრელია, განსაკუთრებით ზამთრობით, ადამიანის მეზობლობა.

ჯერ კიდევ ყინვების დადგომამდე იწყებს ყვავების უზარმაზარი გუნდი მოძრაობას. ათასობით ყვანჩალა მიეშურება დიდ-პატარა ქალაქებისკენ, სადაც ერთხელ ამორჩეულ ადგილზე იზამთრებს. მინდორველად, ხნულებსა თუ ნაწვერალში ჯერაც ბოლომდე იშოვება საკვები, მაგრამ რუხი ყვავი ადრიანადვე იჭერს ქალაქში გასატარებელი ზამთრის თადარიგს და თბილ დღეებშიც კი ჩხავილით შეგვახსენებს აცივების გარდუვალობას.

ერთი შეხედვით, რუხი ყვავის ცხოვრების წირში ამოუცნობი არაფერია, მიუხედავად ამისა, ორნითოლოგებს ზოგი რამ დღემდე ვერ აუხსნიათ. მაგალითად, გაუგებარი რჩება, რა მიზნით იკრიბება ათასობით ყვავი ზამთრის ღამეულ თავყრილობებზე, რომლებსაც უამრავი ჭკა და ჭილყვავიც ესწრება. მზის ჩასვლამდე ოდნავ ადრე უშენ ადგილებში, გაყინული მდინარეების ზედაპირზე, სხვა გაშლილ ადგილებში ჯერ ყველაზე მაძღარი ყვავები გროვდებიან – მოფრინავენ ცალ-ცალკე და წყვილად, მათ მოსდევენ ისინი, ვინც მოშორებით, ქალაქის განაპირას ბინადრობენ და იკვებებიან, სულ ბოლოს,



ბინდში სოფლებსა და ფერმებს შეჩვეულები და თავგვიან ადგილებში მონადირენი მობრძანდებიან. მოფრინდებიან და მთელ არემარეს გადააშავებენ. ჩუმად არიან. არც არავინ ყრანტალებს, არც არავინ ჩხუბობს. მერე მოკლე დროით ყოველგვარი მოძრაობაც წყდება და სხედან გაყუჩებული ყვანჩალები რაღაცის მოლოდინში. ვის ან რას, რა ნიშანს ელოდებიან? მერე უეცრად, როცა აქუნეთი ჩამოწვება, ერთბაშად ყველანი აიშლებიან, აფრინდებიან, შავ ფარდად ჩამობურავენ სივრცეს და ცოცხალ შავ მდინარედ ლაიძრებიან პარკისკენ, სკვერისკენ, ძველი სასაფლაოსკენ ან ქალაქგარეთა ჭალისკენ და კარგა ხანს არ წყდება ამ უზარმაზარი გუნდის ფრთების ტყლაშუნი.

ყოველი ფრინველი სწრაფად პოულობს ადგილს ტოტზე, და ფოთოლშემოძარცული მუხები, ალვები, ნეკერჩხლები, ჭადრები უზარმაზარ შავ ქუდებს ისურავენ. იშვიათად თუ გაიგონებთ უკმაყოფილო ყრანტალს, მაგრამ ძალიან მალე ყველა მშვიდდება და სრული სიჩუმე ისადგურებს. თითოეული ყვანჩალა ისე ზის ხის ტოტზე, რომ განგაშის შემთხვევაში, აფრენისას ხელს ხელი არ შეუშალოს და ყველამ ერთად უშველოს თავს. თუმცა რუხი ყვავები ძირითადად ხეებზე ათარებენ ღამეს, ბევრი მათგანი, ძველი შენობების სახურავებზე, პატარ-პატარა ნიშებში, ლავგარდანებზე ეწყობა. დილით, ვიდრე ირიჟრაჟებდეს, ფრინველები რამდენიმე წამში ტოვებენ ღამისთევის ადგილს, მოედებიან მახლობელ ქუჩებსა და მაღალ ხეებზე ჩამოსხდებიან, თითქოს მზის ამოსვლამდე ცოტა ხანს კიდევ აპირებენ წათვლემას. არავინ უნდა იცოდეს, სად ეძინა ყვავს, ვერავინ უნდა მიხვდეს, სად მდებარეობს ყვანჩალების „საძინებელი",



ალბათ სწორედ ამიტომ არ გაიჭაჭანებს დღისით-მზისით მის სიახლოვეს არც ერთი მათგანი. და ეს მაშინ, როცა ღამეს ყვავები ყოველთვის მხოლოდ ერთ ადგილზე ათევენ და ასეა წლობით. ზამთრის ყოველი ცისმარე დღე ყვავისთვის საჭმლის ძებნა-მოპოვებით იწყება, თუმცა ბევრი მათგანი წინადღით იჭერს თადარიგს, ცოტ-ცოტა საჭმელს იმარაგებს და მის იმედად არის ხოლმე. მაძღარიც რომ იყოს, ყვავი ზედმეტ ლუკმას გულგრილად არ ჩაუვლის, აუცილებლად აიტანს და სადმე სახურავის კუთხეში ან ფოთლების ქვეშ დამალავს, ხოლო სხვებსაც რომ არ მოხვდეს თვალში, გემრიელ ლუკმას ზევიდან აუცილებლად დააფარებს რამეს. ფრინველი ისე კარგად იმახსოვრებს, თუ სად შეინახა საჭმლის მარაგი, რომ ღამე მოსული უხვი თოვლის საფარქვეშაც კი შეუცდომელად აგნებს მას.

ყვავი თითქმის ყველაფერს ჭამს, მაგრამ ნებისმიერ სეზონში ცოცხალ ნანადირევს ამჯობინებს, ნადირობით კი იმათზე ნადირობს, ვისაც მოერევა – მინდვრის თაგვებზე, მტრედებზე, ქათმებზე. თავს ესხმის და დაუნდობლად ჭამს ბუდეებში დატოვებულ უმწეო ბარტყებს...ყვავის ჩხავილი ყურს არ სიამოვნებს, თუმცა არაფერი ავისმომასწავებელი მასში არ არის. რუხი ყვავი ძალიან კარგად ბაძავს და იმეორებს სხვადასხვა ხმებს, მაგალითად, მას შეუძლია ისე გაიმეოროს კოდალას კაკუნი, რომ თვით ხეკაკუნას თანამოძმეებიც კი მოატყუოს. ყვავის ენა ძალზე ღარიბია ნიშნებით, მაგრამ, ეტყობა, სათქმელის გამოსახატად ესეც კმარა. თუ სიმშვიდეა და არაფერი აწუხებთ, ყვავები ჩუმად არიან, ხმას არ იღებენ, მაგრამ თუ სიახლოვეს კატას ან ბუს მოჰკრავენ თვალს, ისეთ ამბავს ატეხენ, არემარეს გააყრუებენ, მაშინაც კარგახანს ჩხავიან, თუ დაჭრილ ან მკვდარ თანამოძმეს მოჰკრავენ თვალს.

საზრიანობით და გონიერებით ყვავი მგელსაც კი არ ჩამოუვარდება. თაობათა გამოცდილებას ახალგაზრდობას ჯერ ოჯახში გადასცემენ, ხოლო მერე – გუნდში. ერთი ან რამდენიმე ყვავის მოტყუება კიდევ შეიძლება, მთელი გუნდისა – კი ნურას უკაცრავად, იმიტომ, რომ თითოეულის შეცდომაზე ყველა სწავლობს.

XV საუკუნის შუა ხანების მსოფლიო რუკაზე ჩვენი პლანეტის ხმელეთი ერთიან მატერიკს წარმოადგენს. რუკაზე ამერიკა საერთოდ არ არის, ჩრდილოეთი მარცხენა მხარეზეა, რუკის თავზე კი მითითებულია გზა... სამოთხისკენ.

ერთ საუკუნესაც არ გაუვლია, და ადამიანებმა საგრძნობლად გაიფართოვეს ცოდნა დედამიწის შესახებ. ზღვაოსნები უშიშრად სერავდნენ ოკეანეებსა და ზღვებს, ოღონდ კი რაიმე ახალი შეეტყოთ დედამიწის შესახებ. ძნელი, ძალზე ძნელი, ხიფათებით აღსავსე იყო ეს მოგზაურობები, მაგრამ ახალი მიწებისა თუ ქვეყნების აღმოჩენის სურვილით ხმობილი ადამიანები არაფერს უშინდებოდნენ.




ჟან ფრანსუა დე გალო, გრაფი დე ლაპერუზი ერთი ასეთი ზღვაოსანთაგანი იყო. ლაპერუზმა აღმოაჩინა ნეკერას კუნძული ფილიპინების სიახლოვეს, ხოლო მაკაოდან იაპონიისკენ რომ ეჭირა გეზი, დაქელეს კუნძულს გადააწყდა. მანვე აღმოაჩინა ალასკის კუნძულებთან ფრანგული ყურე და რამდენიმე უბე დედოფალ შარლოტას კუნძულებზე. მისივე წყალობით გაჩნდა რუკაზე სრუტე სახალინსა და მატერიკს შორის, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელი ეწოდა. ლაპერუზის უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ მოხერხდა მისი თანამედროვე მსოფლიოს რუკაზე შეტანილი შესწორება-დაზუსტებების შეტანა.

ფრეგატები „ასტროლაბია“ და „ბუსოლი“ 1785 წლის 1 აგვისტოს გავიდნენ ზღვაში. ლაპერუზის ექსპედიციას ინგლისელი კაპიტნის კუკის აღმოჩენების დაზუსტება დაევალა. გარდა ამისა, ფრანგ ზღვაოსნებს უნდა დაედგინათ ვეშაპთრეწვის პირობები, შეესწავლათ ჩრდილო ამერიკასთან, ჩინეთთან, იაპონიასთან ბეწვეულითა და სხვა საქონლით ვაჭრობის პირობები. ლაპერუზს საიდუმლო დავალებაც ჰქონდა — საფრანგეთისთვის ზღვისგაღმა კოლონიებისთვის ახალი მიწების მოძებნა. ფრეგატებზე ზღვაოსანთა გარდა ბოტანიკოსები, ასტრონომები, მათემატიკოსები და მხატვრებიც იყვნენ. როგორც კი გემები შორეულ ნაპირებს მიადგებოდნენ და ღუზას ჩაუშვებდნენ, ექსპედიციის ყოველი მონაწილე თავის საქმეს ჰკიდებდა ხელს. ასე დაზუსტდა კოორდინატები, გაიზომა სიღრმეები. გაჩნდა უამრავი ჩანახატი თუ ჩანაწერი. ხანგრძლივი ცურვისას ხშირი იყო შეხვედრები მკვიდრ მოსახლეობასთან. ზოგჯერ ტრაგიკულ შეჯახებებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ლაპერუზი არასდროს ამწვავებდა მათ შურისძიებით და ცდილობდა, მშვიდობიანად მოევლო ყოველი ასეთი შემთხვევისთვის.

საფრანგეთში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მამაცი თანამემამულეების ცურვას და სიხარულით ხვდებოდნენ ყოველ ახალ ამბავს მათ შესახებ. ბოლო ცნობამ 1788 წლის 5 თებერვალს ჩამოაღწია, ამ დღეს ლაპერუზი ავტრალიის ნაპირებს მიადგა და იქიდან გამოუგზავნა საფრანგეთის საზღვაო საქმეთა მინისტრს პაკეტი... მას შემდეგ აღარავის არსად და აღარასდროს მოუკრავს თვალი „ბუსოლისა“ ან „ასტროლაბიისთვის“. გრაფ ლაპერუზის ექსპედიცია უკვალოდ გაქრა.

საფრანგეთში კი იმედს არ კარგავდნენ და კვლავაც ელოდებოდნენ ცნობას. მამაცი ზღვაოსნისაგან მერე კი მისი ექსპედიციის საძებნელად ახალი გემები გაგზავნეს. ძებნა უშედეგოდ დამთავრდა...

არსებობს ასეთი ლეგენდა — როცა მეფე ლუი XVI სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მას მთელი საფრანგეთის საყვარელი შვილი გაუხსენებია და უკითხავს: „ლაპერუზისგან ხომ არაფერი ამბავი ისმის?“

მაგრამ არა. მამაცი ფრანგი ზღვაოსნის და მისი ექსპედიციის ამბავი მხოლოდდა ორმოცი წლის შემდეგ გახდა საცნაური. და იგი სამშობლოში მეორე მამაცმა ფრანგმა ზღვაოსანმა დიუმონ-დიურვილმა ჩამოიტანა, რომელმაც წყნარ ოკეანეში, ვანიკოროს კუნძულის სიახლოვეს, ყურის ფსკერზე მიაკვლია გემის ზარბაზნებსა და ბრინჯაოს ზარს წარწერით — „ბუსოლი, 1785“.

გ ე ო გ რ ა ფ ი ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტესტი თინეიჯერებისათვის

## როგორი ადამიანი ხარ?

*1. დაქალები გაიბუტნენ. როგორ ფიქრობ, რა მიზეზით?*

ა) ერთ-ერთმა მათგანმა მეორისთვის შეყვარებულის წართმევა დააპირა.

ბ) საკონტროლო წერაზე ერთ-ერთმა მეორისგან გადაიწერა, რის გამოც ორიანი მიაღებინა მას.

გ) ერთ-ერთი მეორეზე ჭორებს ავრცელებდა.

*2. შენი მეგობარი ბიჭი (გოგონა) საზღვარგარეთ წავიდა სასწავლებლად, შენ კი ისელთვე და ყველას ეკეკელეტები. გაწუხებს თუ არა ამ დროს სინდისი?*

ა) კი, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევ.

ბ) იმედი მაქვს, რომ მაპატიებენ.

გ) შეიძლება ასეთი რამ ყველას დაემართოს.

*3. დილით დაგეძინა და სკოლაში დაგაგვიანდა. როგორ მოიქცევი — ნამდვილ მიზეზს ეტყვი მასწავლებელს თუ თავის გასამართლებლად რაღაცას მოიგონებ?*

ა) უბრალოდ მოვიბოდიშებ დაგვიანებისთვის.

ბ) რამეს მოვიგონებ.

გ) გამოვტყდები, რომ დამეძინა. ტყუილები ძალიან მეჯავრება.

*4. მეგობარს საიდუმლო გაანდე, მეორე დღეს კი აღმოაჩინე, რომ მის შესახებ ლამის მთელმა სკოლამ იცის. რას იფიქრებ, შენმა მეგობარმა გაგცა?*

ა ) არა მგონია.

ბ) არ არის გამორიცხული, ასეთი რამეები ახასიათებს.

გ) არავითარ შემთხვევაში! ჩემი მეგობარი საიმედო და სანდო ადამიანია.

*5. ოჯახის წევრებმა ძაღლის შეძენა გადაწყვიტეს. შენ რომელი ჯიშის ძაღლს იყოლიებდი?*

ა) მე პატარა, „ჯიბის ძაღლები" მიყვარს.

ბ) საერთოდ არანაირი ძაღლი არ მინდა.

გ) ყველას დიდი მოდარაჯე ძაღლი მირჩევნია.

*6. მშობლებს ტყუილი უთხარი და მათ ამის შესახებ გაიგეს. როგორ გაიმართლებ თავს?*

ა) სპეციალურად არაფერს ავუხსნი მშობლებს.

ბ) მაშინვე პატიებას ვთხოვ.

გ) ვეცდები, ყველაფერი ხუმრობაში გავატარო.

*7. მეგობრის დაბადების დღეზე ცეკვის დროს უნებლიედ შენს სიმპათიას დაეჯახე. როგორ მოიქცევი?*

ა) ამას ფლირტის საბაბად გამოვიყენებ.

ბ) იქით დავადანაშაულებ მას.

გ) აუცილებლად მოვუბოდიშებ.

*8. სპორტულ თამაშში ორნი შეეჯახეთ და ერთმანეთი წააქციეთ, მოწინააღმდეგემ ბოდიში მოგიხადა. შეურიგდები თუ არა?*

ა) რა თქმა უნდა, ასეთი რამ შეიძლება ყველას დაემართოს.

ბ) მოწინააღმდეგეს სამაგიეროს გადავუხდი!

გ) არავითარ ბოდიშებს არ მივიღებ!

შედეგები

| ქულები | ა | ბ | გ |
|---|---|---|---|
| 1) | 0 | 3 | 6 |
| 2) | 3 | 0 | 6 |
| 3) | 0 | 6 | 3 |
| 4) | 0 | 3 | 6 |
| 5) | 0 | 3 | 6 |
| 6) | 3 | 0 | 6 |
| 7) | 6 | 3 | 0 |
| 8) | 0 | 6 | 3 |

0-18 ქულა

რატომ ეძებ შეცდომებს საკუთარ თავში? მეგობართა წრეშიც კი ყოველთვის ცდილობ ყველაფერი შენს თავზე აიღო. დანაშაულის გრძნობა გაწუხებს, ამიტომაც საკუთარი თავის რწმენა უნდა განიმტკიცო. შეცდომას ყველა უშვებს, მათ შორის შენც. დაიხსომე — საკუთარ თავში დარწმუნებული შენი თანატოლები გაცილებით იოლად აღწევენ ყველაფერს.

19-36 ქულა

ყოველთვის ცდილობ მაშინვე გამოასწორო შეცდომები. თუ მტყუანი ხარ, ბოდიშის მოხდა არ გიჭირს, იმიტომ, რომ შენი აზრით, ყოველგვარი დანაშაულის ჩაფარცხვა შეიძლება. ამიტომაც ხშირად აწყვეტინებ სიტყვას მეგობრებს, შეურაცხყოფასაც სულ იოლად აყენებ სხვას.

37-48 ქულა

თავი უაღრესად სრულყოფილ ადამიანად მიგაჩნია და საკუთარ შეცდომებს ვერასდროს ამჩნევ. სკოლაში, საკონტროლოში მიღებულ ორიანშიც კი სხვებს ადანაშაულებ. გახსოვდეს —ირგვლივ მყოფთ მოსწონთ მხოლოდ ძლიერი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი სისუსტეების აღიარება შეუძლიათ.

# დასამახსოვრებელი სახელები

## ორივე კვიცი გვარზე ხტის

რუსუდან და გვანცა გორიამაშვილები დიდი ქალბატონის, თამარ იმხნელის შვილიშვილები არიან და ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ორივეს გამორჩეული მუსიკალური ნიჭი და ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი დაჰყვა. უფროსი და, 8 წლის რუსუდანი თბილისის 161-ე სკოლის მესამე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა (ხელმძღვანელი მარინე მორჩილაძე). გოგონა იმავდროულად მე-9 სამუსიკო კოლეჯის პირველ კლასშიც სწავლობს (პედაგოგი ინგა რაზმაძე) და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლის მოსამზადებელ კლასშიც (პედაგოგი დინა ხუციშვილი). გარდა ამისა, რუსუდანი სისტემატურად ესწრება სკოლაში არსებული „ხელოვნების სალონის" გაკვეთილებს (ხელმძღვანელი დოდო ბაიდოშვილი), სადაც თანატოლებთან ერთად ეცნობა ანტიკური თუ თანამედროვე ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებას, უსმენს კლასიკურ მუსიკას. რუსუდანმა ყველაფერთან ერთად საბავშვო მხატვრულ ფილმში „დაიკარგა სუქუქა" თამაშიც მოასწრო (რეჟისორი გია კაჭარავა). ძალიან უყვარს ქსოვა, წიგნების კითხვა, ცურვა. თავისუფალ დროს კი დედასაც და ბებიასაც სიამოვნებით ეხმარება საოჯახო საქმეებში.



თავდაჭერილი, გაწონასწორებული და მორიდებული უფროსი დის ფონზე ექვსი წლის გვანცა ნამდვილ ყაჩაღანაა, ამას ოჯახშიც აღნიშნავენ და სკოლაშიც, ის კი არა, ამ სურათზე თქვენც შეატყობთ. გვანცაც რუსუდანივით 161-ე სკოლაში სწავლობს, პედაგოგ ია იამის კლასში და მუსიკალურ კოლეჯში. ბალეტისკენაც მიუწევს გული (ბალეტის სიყვარული კი დებს უჭკვლად ბებიისგან, ქალბატონ დარეჯან ლეჟავასგან გადაედოთ, რომელიც ყმაწვილქალობაში ოპერასთან არსებულ საბალეტო სტუდიაში დადიოდა და დადგმებშიც მონაწილეობდა). უფრო ბალეტი ყინულზე მოსწონს, მაგრამ ბალეტისთვის ცოტა პუტკუნა გახლავთ და ამიტომ ჯერჯერობით გვანცას ოცნება ოცნებად რჩება. უნდა, როგორ არ უნდა, საბალეტო სტანდარტებამდე გახდომა, მაგრამ გემრიელად ჭამაც რომ უყვარს?.. სამაგიეროდ, სიმღერაში არ ეშლება ხელი, სულ დიღინებს, სულ მღერის – ძირითადად დიდი ბებიების, იმხნელების სიმღერებს, თან დარეჯან ბებიას გადახედავს ხოლმე, აბა თუ მოსწონს ჩემ მიერ შესრულებული თავისი დედისა და დეიდების სიმღერებიო...

გაიზრდებიან რუსუდანი და გვანცა, დაქალდებიან, თითოეული მათგანი ცხოვრების თავისეულ გზას დაადგება, თავის საქმეს აირჩევს, მუსიკის, ხელოვნების სიყვარული კი ორივეს ერთნაირად გაჰყვება სამუდამო საგზლად.

## ნოდარ სინაურიძე – ამომავალი ვარსკვლავი

რვა წლის ნოდარ, ნოდიკო, როგორც მას სიყვარულით ეძახიან, სინაურიძეს დღეს მთელი ქუთაისი იცნობს. თანაქალაქელები მასში მომავალ ვარსკვლავს ხედავენ და ეჭვი არ ეპარებათ, რომ იგი ღირსეულად გააგრძელებს მშობლიური ქალაქის მდიდარ მუსიკალურ ტრადიციებს.

სულ პატარა იყო ნოდიკო, როდესაც რიტმის საოცარი გრძნობით მიიქცია უფროსების ყურადღება. ორი წლისამ დოლზე დაიწყო დაკვრა. ისე, ანგარიშმიუცემლად კი არ ეტყაპუნებოდა ხელებს, აბსოლუტური სიზუსტით, უმცირესი ნიუანსების დაცვით გამოჰყავდა ქართული ცეკვის რიტმი – „ქართული", „ხორუმი", „განდაგანა", „ბაღდადური"... მერე ამღერდა კიდეც. სამი წლისა ისე მღეროდა, ერთ ყალბ ნოტსაც არ გამოუშვებდა. ნოდიკომ დაამტკიცა, რომ მუსიკა, სიმღერა მისი მოწოდებაა. ნორჩი მუსიკოსის დებიუტი ქუთაისის ოპერის თეატრის სცენაზე შედგა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო. ჯერ ყველა სიტყვას სწორად ვერც კი გამოთქვამდა, სიმღერებს კი შეუმცდარად ასრულებდა.



დღეს ნოდარ სინაურიძე ქუთაისის მე-2 დაწყებითი სკოლის მეორე კლასის და მე-2 სამუსიკო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეა. ამასობაში პრიმიტიული დოლი რთულმა და სერიოზულმა ვიოლინომ შეცვალა. ბიჭი სტუდია „ბაღაბნების" ერთ-ერთი საუკეთესო სოლისტია. ნოდიკოს პედაგოგი ქალბატონი მაია ბალანჩივაძე დიდ იმედებს ამყარებს მასზე და სახელოვან მომავალსაც უწინასწარმეტყველებს. ხოლო ამის საფუძველი მაია მასწავლებელს ნამდვილად აქვს. 1999 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს მართვე" ნოდარ სინაურიძემ საპრიზო ადგილი დაიკავა და ლაურეატის წოდებაც დაიმსახურა. გარდა ამისა, მან არტისტიზმისთვის საუკეთესოს წოდება და დიპლომიც მიიღო. ამ ფესტივალზე ნოდიკომ კომპოზიტორ ნ. თუშიშვილის „ვედრება" იმღერა. მსმენელებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს პატარა ქუთაისელი მომღერალი, ხოლო ფესტივალის ჟიურის წევრებმა, კომპოზიტორმა მიხეილ თძელმა, მომღერალმა ეკა კვალიაშვილმა და ფესტივალის დირექტორმა თამაზ რუსიშვილმა დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს მას. გასულ ზაფხულს ნორჩმა მომღერალმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა კურორტებზე გამართულ საქველმოქმედო კონცერტებში და ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა.

შარშან XXI საუკუნის შესახვედრად პატარა შემოქმედი თბილისში, „შერატონ-მეტეხი პალასში" საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე მიიწვიეს. ნოდიკომ იმ საღამოს თვითონაც დიდად ისიამოვნა და სხვებიც ასიამოვნა.

ნიჭიერ ყმაწვილს მწვერვალამდე სავალ გზაზე ჯერ კიდევ მრავალი საფეხურის გავლა, მრავალი სიმაღლის დაძლევა მოუწევს. ნებისმიერი წარმატება ნიჭთან ერთად, გულმოდგინებითა და დაუზარელი შრომით მიიღწევა – ეს ნოდიკომაც კარგად იცის და ამიტომაც შესაშური მუყაითობით, მონდომებით, ჟინით სწავლობს, იღრმავებს ცოდნას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამომავლოდ კარგ საფუძველს იქმნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები

## თამარ ბურნაძე-წიწიკაშვილი

### უფლისციხე

რწმენის შთაგონება, მოძღვარ სულისაო,
ბერო მწყალობელო, კურთხევ — ლოცვისაო,
დიდო მატიანევ ქართლის რჯულისაო,
ექოვ გოდებისა, ქარით მოთქმისაო,
ძვლებო წინაპართა, — გმირთა მოდგმისაო,
ძმაო ბუკისა და ჭიანურისაო,
ხილვავ დავითის და თამარ მეფისაო,
ხსოვნად მონაფენო დაამებისაო,
კლდეში ნაქანდაკო ფენომენისაო.
ძეგლო კვალნათელო ამა სოფლისაო,
ლეგა-ლეგენდაო, ფარდო მთვარისაო,
საფერ-სასათუთო, ჩინო თვალისაო,
მთაო ანგელოზთა, ციხევ უფლისაო!
ერის ტკივილზე დგას შენი საგუმბათო,
ქვეყნის სვე და ბედი თავზე ფიქრად გათოვს.
ცხელ სისხლს გადუვლია შენს მწველ
გულ-მკერდზე ხომ,
თვალზე ცრემლთა რული ნუთუ, აღარ გვეყო?
სმენა წაუღლეკავს, მზერა გრდემლს და უროს...
ტაოს დავიბრუნებ დღეს თუ ხელი გულობს,
თამარს მოუხიბლავს მესხეთ-ჯავახეთი,
გაიჭვრეტს სათვალთვალოს მხოლოდ
ბრძნული ხედვით.
შეხე, ბასიანთან მტერი უკან იხევს,
ხომ არ დამიბერდი, ჩემი უფლისციხევ?!

### სვეტიცხოველი ლოცვად მწყურია!

ვეხმატკბილები სულში „დიდლოს“,
სევდის სურნელით სინანულიანს...
საფიქრალიდან გავმზერ „ლიდლოს“
და მტკვრისპირული ღამე მწყურია!

მეხსიერება მახლავს თან იღბლად,
თვალიმც დაუდგეს მტერს და შურიანს!
მე თერგ-არაგვის ჩქერები მხიბლავს,
უფლისციხური ზეცა მწყურია!

ვზღაპრავ წინაპართ საფლავ-სამყოფელს,
ო, იქ ტირილიც საამურია!..
ქართლში რქაწითელს უნდა ვამყნობდე,
მე ჩემი ქვეყნით სუნთქვა მწყურია!

იქ ყველა ჰანგი ღვთიურ ზესახის,
საფეროო და უცნაურია,
მე ჩემი მიწის გმინვა მეძახის,
მარაბდის ველზე ბრძოლა მწყურია!

სატალ მიცვნია რწმენით, გონებით,
ქართლი, კახეთი, სამცხე, გურია...
მე შენს საფიცარს მით ვემონები,
სვეტიცხოველი ლოცვად მწყურია!

### უმრავლოს მრევლი გელათს თუ სიონს

ჯვრის იერს ავსებს მზე სხივთა კრთომით
გუმბათზე ლოცვად ჩამოწნულ გვირგვინს,
დროით და დავით, ზავით და ომით,
სიცოცხლის დუღილს აგრძელებს ირგვლივ.

მითრთოლვარე ბაგით ჰგვრის ამბორს სიო
ღვთისმშობლის მადლით ხელდასმულ სამანს...
უმრავლოს მრევლი გელათს თუ სიონს!..
შემოგვმზერს, შეხე, სიბრძნილან საბა.

### ვწუხვარ...

ნიკოფსიით ტაომდე
სინანულის ხედია...
არა სჯერათ, სამყარო
შენი მეოთხედია.

შეეშალა სახე ცას,
ემსგავსება ფეთიანს,
იყილება მყინვარი...
სულიც მისახედია?!

ღმერთმა მისცეს ერთს მაინც
გონი დავით მეფისა.
ვწუხვარ, ჰოი! ხარ გერი
უფლის მეოხებისა.

იქნებ, არც მაქვს უფლება,
ვიხმიანებ იოგებს,
რა ვქნა, გული მეწვის და
სათქმელს ველარ ვიოკებ.

# საკონტროლო წერა თემაზე:

# მე რომ განათლების მინისტრი ვიყო...

## წერენ თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მეექვსეკლასელები.

დანგრეულ სკოლებს აღვადგენდი, დავბეჭდავდი წიგნებს, გავაგდებდი ისეთ მასწავლებელს, რომელიც გვიყვირის და გვცემს. მასწავლებლებს ხელფასს დავურიგებდი, რათა სწავლა არ შეწყვეტილიყო. არდადეგები ერთთვიანი არ იქნებოდა, ცოტას შევამცირებდი. გავარემონტებდი სკოლას, გათბობას გავიყვანდი, გავალამაზებდი.

*ნადირაშვილი ნინო*

მინდა იყოს სწავლა, მაგრამ ნებაყოფლობითი, იმიტომ, რომ მაშინ აღარ დაგვაძალებდნენ სწავლას. მე არ მინდა ვიყო განათლების მინისტრი.

*თემურ ჩხაიძე*

კვირაში იქნებოდა ორი დღე სწავლა და ოთხი დღე დასვენება. და იმ ერთ დღესაც ბავშვებს დაუწყნარ პირობებს და გართობებს შევუქმნიდი და ვასწავლიდი მხოლოდ აუცილებელ საგნებს როგორიცაა: ისტორია, მათემატიკა, ქართული, ინგლისური და რუსული. ამ საგნებიდან ბავშვი აირჩევდა ერთ-ერთ საგანს და ისწავლიდა უფრო გაძლიერებულად.

გავანთავისუფლებდი ზოგიერთ მასწავლებელს, რომელიც ცუდი თვისებების გამოირჩევა.

*ანი მაჭარაშვილი*

დანგრეულ სკოლებს აღვადგენდი. კი დევ მე გავაგდებდი ისეთ მასწავლებელს, რომელიც ბავშვებს ცემას დაუწყებდა, ეჩხუბებოდა. მე რომ განათლების მინისტრი ვიყო, ყველა ბავშვს სწავლისკენ მივუბიძგებდი.

მკაცრ მასწავლებლებს სკოლიდან გავაგდებდი. ბავშვებს დავითხოვდი 22 მაისს. ბავშვებს ნებას დავრთავდი რომ დიდხანს ეთამაშათ დასვენებებზე. მასწავლებლებს დიდ ხელფასს დავურიგებდი. რომელი ბავშვიც კარგად ისწავლიდა, სკოლის დამთავრების შემდეგ მათ გავუშვებდი უცხოეთში თავისი ცოდნის გამოსამჟღავნებლად.

*ნინო კლანტიაშვილი*

სწავლას შევწყვიტავდი, გავანთავისუფლებდი ყველა ცუდ მასწავლებელს. მინდა ბიზნესმენი ვიყო და დავეხმარო ბავშვებს, რომლებიც ვერ სწავლობენ.

*მალხაზ სიმონია*

გავარემონტებდი სკოლებს, უნივერსიტეტებს, კოლეჯებს და აკადემიებს. სკოლებს გავხდიდი 10-წლიანს. ავაშენებდი ახალ სკოლებს. ახლა ფიზიკა და ქიმია, რომ მე-7 კლასიდან იწყება ამას გავაუქმებდი და მე-7 კლ. ისწავლიდნენ ჯერ ფიზიკას შემდეგ კი მე-8 კლ. ისწავლიდნენ ქიმიას. ვინც კარგად, ანუ „ხუთზე" ისწავლიდნენ, იმათ დავნიშნებოდათ ხელფასი. არ იქნებოდა საშემოდგომო გამოცდები და თუ ვინმეს „ორი" გამოყვებოდა, დარჩებოდა იმავე კლასში. მასწავლებლებში იქნებოდა კონკურსი მისაღები და ასევე გასაგდები. მოსწავლეების ყველა გამოცდა იქნებოდა ტესტური. ყველა სკოლაში იქნებოდა ცენტრალური გათბობა. ბუფეტი უფრო იაფი იქნებოდა.

*ვაჯანიშვილი ირინა*

არასდროს გამჩენია სურვილი, განათლების მინისტრი აღგილზე ვყოფილიყავი, მაგრამ მაინც...

მე რომ მინისტრად დამნიშნონ, თანაც განათლების მინისტრად, ალბათ I, უპირველეს ყოვლისა, სწავლას არასოდეს დავიწყებდი 19 სექტემბერს, ან 29 მარტს. თუ ამ თანამდებობაზე ბოლომდე დავრჩი, მაშინ მოსწავლეებს ზელს შევუწყობდი, ანუ მივცემდი დენს, გაზს, წყალს (ზეთისხილი არ გეგონოთ) და საერთოდ, შევუქმნიდი ყოველგვარ პირობას სწავლისათვის. მასწავლებლების მოხსნა ჩემი საქმე არ იქნებოდა, თორემ ბევრი აქამდე სკოლაში აღარც დარჩებოდა. გარდა ამისა, 60 წელს ზევით მასწავლებლებს სკოლაში არ დავუშვებდი. ისე, თემას გადავუხვევ და ვიტყვი, რომ ჩემი ოცნებაა, გავხდე ძალიან, ძალიან ცნობილი მსახიობი!

*უცნობი ნაცნობი მაგდა (არ მოაწერა ხელი მაგდამ თავის თხზულებას).*

მე მინდა, რომ სწავლა ნებაყოფლობითი იყოს და არ გვაძალებდნენ. განათლების მინისტრობა კი არ მინდა.

*ლემურ ხურციძე*

ყველა უცოდინარს დავარიგებდი და სწორ გზაზე დავაყენებდი. სკოლებში გაზს გავუშვებდი. ზოგ-ზოგ მასწავლებელს მოვხსნიდი, განსაკუთრებით მოხუცებს. ბავშვებს არდადეგებს გავუხანგრძლივებდი და ძალიან გავახარებდი ყოველ წელს ვინც კარგად მოიქცეოდა, საჩუქრებს მივუტანდი. ხან 2 თვეს ვასწავლიდი, ხან 5 თვეს. კაბინეტებს მოვაწყობდი, განსაკუთრებით გეოგრაფიის კაბინეტს, რომ ლია მასწავლებელს მოეწონოს. დაფებს შევღებავდი ლამაზად და ლამაზ-ლამაზ ცარცებს მივიტანდი. არდადეგების შემდეგ როდესაც დაბრუნდებოდნენ, დავასაჩუქრებდი საჩუქრებს და ყოველ დღესასწაულზე მივართმევდი იებს და სხვადასხვანაირ ყვავილებს. დირექტორს ვეტყოდი, რომ გოგონებისთვისაც და ბიჭებისთვისაც შარვლები ჩაეცვათ რათა არ გაყინულიყვნენ.

*ნინო ნიკოლაშვილი*

დავივლიდი ყველა სკოლას დაწყებით კლასებს და მასწავლებელს გავაფრთხილებდი რომ თუ ბავშვს არ ეცოდინება გაკვეთილი, მაშინვე ჩაუწეროს ორიანი, ყოველგვარი პატიების გარეშე და გაკვეთილების მერე დატოვოს ბავშვი და აუხსნას, ასწავლოს გაკვეთილი და მეორე დღეს იმავე და მომდევნო გაკვეთილში დაუწეროს ნიშანი. ყოველი წლის ბოლოს შევამოწმებდი ყველა მოსწავლეს. თუ იგი კითხვებზე არ უპასუხებდა, მისი მასწავლებელი გათავისუფლებული იქნებოდა, რადგან მან არ აიძულა ბავშვი ესწავლა. აქედანვე მოსწავლე მიეჩვევა სწავლას. მოსწავლეს წლის ბოლოს ჩაიჭრება, გამოყვება საშემოდგომო.

თუ ბავშვი მაღალ კლასებში არ განაგრძობს კვლავ კარგად სწავლას, იგივე მეთოდი განმეორდება, რაც დაწყებითებში. მოსწავლემ რომ ისწავლოს, პირველ რიგში აუცილებელია მუდმივი გათბობა (რადიატორებით და არა ნავთქურით), სინათლე.

*მატინიანი თამუნა*

მე-15 სკოლას განსაკუთრებით მოვუვლიდი. ყოველ კლასში იქნებოდა სისუფთავე, არ იქნებოდა დაჯღაბნილი მერხები და სკამები. ყოველ კლასში იქნებოდა ისეთი დაფები, როგორიც არის მათემატიკის კაბინეტში, ყოველ კაბინეტში იქნებოდა სხვადასხვა ფერის ცარცი. შემოვიღებდი ახალ სასკოლო ფორმებს, თეთრი ბლუზები და შავი კაბები ექნებოდათ გოგონებს, თეთრი პერანგები და შავი შარვლები ბი-

ქეს. ზამთარში იქნებოდა კარგი გათბობა. ყოველ მასწავლებელს ექნებოდა თავ-თავისი კაბინეტი. ყოველი დასვენება 10 წუთიანი იქნებოდა, გაკვეთილი კი 30 წუთიანი. იქნებოდა უფასო სკოლა, და უფასო კვება. იქნებოდა კარგი ფიზკულტურის დარბაზი.

*ვიქტორია პერეპილიცინა*

.

ბავშვებს სწავლისკენ ვუბიძგებდი, მაგრამ როგორც ახლა არის, საგაზაფხულო და საშემოდგომო არდადეგებს არ გავაუქმებდი. თუ მასწავლებელი ცუდად ასწავლის, გავაგდებდი იქნისამდე სწავლას არ გავაგრძელებდი. სწავლას 1 სექტემბერს დავიწყებდი და ყველაფერს კალაპოტში ჩავაყენებდი.

*თამარ ბაბაშვილი*

.

სწავლას ავკრძალავდი, თუმცა შეიძლება არც კი ავკრძალო, იმიტომ, რომ ეს რაღა თათობა იქნებოდა? ოღონდ ერთი კი ვიცი სასწავლო დღეები იქნებოდა შაბათი და კვირა. დასვენების დღეები კი ორშაბათიდან პარასკევამდე.

ბავშვებს სკოლაში ფორმა ეცმებოდათ, ოღონდ ისეთი როგორსაც თვითონ აირჩევდნენ. ყველას ერთნაირი ჩანთა ექნებოდა. კლასში 20-ზე მეტი მოსწავლე არ იქნებოდა, რათა კლასი განაყოფებად არ დაიყოს და ბავშვები უფრო მეგობრულები იყვნენ.

*ნანა მჟავანაძე*

.

ყველა სკოლაში იქნებოდა შუქი, გათბობა და ყველა ის პირობა, რომელიც ბავშვებს სჭირდება არც ერთ დღეს არ იქნებოდა შვიდი გაკვეთილი, სკოლა იქნებოდა როგორც სასახლე, ძალიან ლამაზი. სკოლებში რა თქმა უნდა, იქნება ფორმები, როგორც ადრე იყო. შუა გაკვეთილში ბავშვებისთვის იქნება დიდი დასვენება და ისინი ამ დროს საჭმელს შეჭამენ.

*მაკო სისაური*

.

მე რომ განათლების მინისტრი ვიყო, დიდი ბედნიერება იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვარ. სკოლებს გავაუქმებდი, მაგრამ არა, სკოლა რომ არ იყოს, სად გავერთობოდი? მოვხსნი ყველა მასწავლებელს და სკოლაში სწავლას გავაუქმებ და ვივლი მარტო იმიტომ, რომ გავერთო, ბავშვები ვცემო და ვეხხებო. დავტოვებდი მარტო ინგლისურის, გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლებს იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს. ამ საგნებს გაძლიერებულად ვასწავლიდი.

*ნინო ჭოლოკავა*

.

სკოლებს მუდმივ შუქს და გათბობას. მივცემდი წიგნები უფასო იქნებოდა, მასწავლებლებს ხელფასს მოვუმატებდი, სკოლებს გავალამაზებდი ბაღებით, სკვერებით ყველაფერი უფასო იქნებოდა, ნებისმიერ ხუთოსანსა და ოთხოსანს სტიპენდიას დავუნიშნავდი, გავაუმჯობესებდი სკოლებს და კიდევ ბევრ რამეს გავაუმჯობესებდი.

*გიორგი კერესელიძე*

.

ბავშვებს სწავლისაკენ წავახალისებდი. მასწავლებლებს ხელფასებს დავურიგებდი. ბავშვებს ნებას მივცემდი ხშირად და დიდხანს ერთად ეთამაშათ. სკოლიდან მკაცრ მასწავლებლებს გავუშვებდი. ყველა ფრიადოსანს სტიპენდიას დავუნიშნავდი (სოლიდური თანხებით).

მე რომ განათლების მინისტრი ვიყო არ გავაკეთებდი ცრუ დაპირებებს, სწავლას 18 სექტემბრიდან დავიწყებდი. ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლა არ შეუძლიათ, უფრო ლმობიერად მოვეპყრობოდი.

*დარახველიძე გიორგი*

.

სკოლებს გავაძლიერებდი უმაღლეს დონეზე. ბავშვებს, ყველა კლასის მოსწავლეს ვუყიდიდი ყველა კლასის წიგნს. ექნებოდათ მუდმივი დენი, გათბობა და უფასო ბუფეტი. მე ამას ვწერ და ვიტყვი სადაც გინდათ. მინისტრობა არ მინდა, მაგრამ თუ მართლა ამისდა ოცნება და გავხდი ფეხბურთელი. დავეხმარები გაჭირვებულ ხალხს.

*დავით გოგატიშვილი*

.

სკოლებში გათბობას ჩავრთავდი 6 თვე ისწავლიდნენ ბავშვები, ხოლო 6 თვე დაისვენებდნენ გავაუქმებდი სწავლას. პირველ რიგში გავაუქმებდი შრომას და რუსულს, იმიტომ რომ შრომის მასწავლებელი მკაცრია, ხოლო რუსულის მასწავლებელიც მკაცრია, ბევრს ითხოვენ. ამ ორი გაკვეთილის ნაცვლად ცურვის გაკვეთილებს ჩავატარებდი. ავაშენებდი უამრავ სკოლას და კოლეჯს.

*ნიკა აბაშიშვილი*

.

მე ბავშვობიდან ვოცნებობდი რომ ვყოფილიყავი განათლების მინისტრი. მე რომ ვყოფილიყავი განათლების მინისტრი, სწავლა თავის გამოტოვებით იქნებოდა. ყველა სკოლა იქნებოდა გარემონტებული და ძალიან ლამაზი. სკოლების წინ იქნებოდა შადრევნები და ლამაზი ხეები. ყოველ კვირას, ერთი დღე ბავშვები ისაუბრებდნენ მასწავლებლებთან ერთად თავისუფალ თემაზე. იქნებოდა უძლიერესი სწავლა ყველა საგანში. ყოველ კაბინეტში იქნებოდა ბევრი სურათი და ყველაფერი იქნებოდა ელექტრონული. ერთ ღილაკს რომ დავაჭერდით, დაფები აიწეოდა და ასე შემდეგ. სკოლაში იქნებოდა კომპიუტერები, მუდმივი შუქი, გათბობა და ცხელი წყალი. მასწავლებელს არ ექნებოდა უფლება ეცემა ბავშვი. სკოლებში ასევე იქნებოდა აუზები, კაფეები და ასე შემდეგ ყველა მაითხოვარსაც შეეძლებოდა სწავლა.

*თეონა გიგინეიშვილი*

.

გავარემონტებდი სკოლებს, შევიძენდი ბევრ ახალ მერხს და სკამს სკოლებისათვის. მასწავლებლებს დავურიგებდი მაღალ ხელფასებს, დირექტორს დავნიშნავდი პატიოსანს, ლამაზს, ბავშვების მოყვარულს. სკოლაში იქნებოდა ძალიან დიდი სიმკაცრე, ყველა ბავშვი იქნებოდა ვალდებული კარგად ესწავლა. მათ ეცმეოდათ ერთნაირი და ლამაზი ფორმები. მოვხსნიდი ყველა იმ მასწავლებელს, რომელიც ბავშვებს დაუწერდა „ორიანს". დაუწყებდა ცემას და ლანძღვას, წყევლას კლასის წინაშე. დავაარსებდი საკვირაო სკოლებს, სადაც სწავლა უფასო იქნებოდა ნებისმიერ ბავშვს შესაძლებლობა ექნებოდა, მისი ნებასურვილის მიხედვით ესწავლა ამ სკოლაში.

სკოლებში დავაწესებდი სტიპენდიას ფრიადოსნებისთვის. სკოლები წინ გავაშენებდი ბაღებს და დავრგავდი ლამაზ ყვავილებს.

*სალომე ახვლედიანი*

.

ბავშვებს ტყუილად სკოლის გაცდენისთვის გავრიცხავდი. კარგსა და ლამაზ სკოლებს ავაშენებდი, გავარემონტებდი. თუ ვინმე კედლებზე რამეს დაწერდა, ჯარიმას გადაახდევინებდი. ზამთარში გათბობას გავუშვებდი ზაფხულში კი ყველა კლასში ვენტილატორებს დავაყენებდი. მასწავლებლებს ნიშნებს ძალიან მკაცრად დავაწერინებდი დაჯღაბნილ მერხს გამოვცვლიდი და სულ ყვავილებით მოვრთავდი სკოლებს.

*ნათია სტეფანიშვილი*

.

სკოლას მუდმივად ვამუშავებდი ყოველ კლასში იქნებოდა სისუფთავე, არ იქნებოდა დაჯღაბნილი მერხები და სკამები.

*მზია ნიკოლაიშვილი*

.

თორმეტწლიან სწავლას არ დავაწესებდი, რადგან ეს მომაჩნია ხანგრძლივ სწავლად, ისედაც ხომ პროგრამა ბევრია. პროგრამას შევამცირებდი. ასე ბავშვებს უფრო იოლად შეეძლებოდათ გაკვეთილების შესწავლა. მიმაჩნია, რომ ასე ცოდნა უფრო მყარი იქნებოდა. სკოლაში მოსწავლეებს ფორმით არ დავუშვებდი, ყველა სკოლას ჩავურთავდი გათბობას და დავამყარებდი სისუფთავეს.

*თეო ქობალიანი*

21974
საპარლამენტო
ბიბლიოთეკა

ლდოშხერი

## მაგრამ მაინც საქართველოვ...

ბარაქიანი მიწა გაქვს,
ოქროთი სავსე მთები,
ბალახიანი მინდვრები,
ზღვა და წყალ-უხვი ტბები
ბულბულნი ლამაზ სიმღერებს
სტვენენ, გალობენ ვარდზე,
მაი რომ მოუსმენ, ვინცა ხარ,
აღარ იფიქრებ დარდზე.
ყაყაჩოებს დაუფარავს
წიფლად კორდები, ველი,
აყვავებულა ჯეჯილი
ტყეში კუნტრუშობს შველი...
ხომ ასეთი მდიდარი ხარ,
ჩემი საქართველოვ,
მაგრამ საქმე ისე მიდის,
გაწვდილი მაქვს ხელი,
სხვის შემყურედ გადიქეცი,
დახმარებას ელი.

## ზაფხული

მიიწურა გაზაფხული,
დაიწყება ზაფხული,
ვის არ უყვარს თბილი დარი,
და ზღვის ტალღა — მალე.
ყველას უყვარს მწვანე მთები,
და კრიალა ცა,
თოლია, რომ ზღვაზე დაჰქრის,
ფრთას შემოჰკრავს ფრთას.
მოხერხდება მერე ერთ დღეს,
და გაჰყვება გზას.
ვუმზერ შორით რომ მიფრინავს,
გავაყოლებ თვალს...

## წმინდა ნინოს

ცოდვებში ჩაფლულიყო
საქართველო,
არმაზი ბრწყინავდა მთაზე,
დავიწყებოდათ მაცხოვრის რჯული,
იდგნენ მაცდურის გზაზე.
მაგრამ გადავრჩით დაღუპვას,
აენთო ვარსკვლავი ცაზე
უფლის მსახური მობრძანდა,
ამ ცოდვილ ქვეყანაზე.
მოციქულთა სწორო,
დედავ ქართლის ნინო,
უფალი იესოს მსახური,
ვინ შეგადარო, ვინო?
საკუთარი თმით შეკრული,
ხელთ გეპყრა ჯვარი ვაზისა,
შენა ხარ გადამრჩენელი
ჩემი სამშობლო მხარისა.
შენი გული წმინდა იყო,
სული — სუფთა, ნათელი.
ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია,
დაგინთოთ, დედავ, სანთელი.



თამარ ადამია თბილისის ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მე-5 კლასის მოსწავლე.

## მასწავლებელი

მასწავლებელი — მეორე დედა,
ყოველთვის ჩვენზე ზრუნავს,
მასწავლებელი — ჩვენი მშობელი,
ის ჩვენ გვერდშია მუდამ.

შოთა რუსთაველი

შოთა — ქართველთა დიდი მგოსანი
მან დაგვიტოვა „ვეფხისტყაოსანი“,
მან შეგვასწავლა წრფელი მეგობრობა,
გვასწავლა სიყვარული და ბოროტის გმობა.

## თამარ მეფე

საქართველოს ბევრი მეფე ჰყოლია,
ყოველ მათგანს ძალზე ბევრი უომია,
ყოველ მათგანს საქართველო ჰყვარებია,
ყოველ მათგანს მტერი
ასე იყო თამარ მეფეც,
გონიერი, მომხიბვლელი,
ამიტომაც ეთაყვანა მას,
მზისსადარს მთელი ერი.



თეო კოპალიანი თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში სწავლობა. ძალიან უ ყვარს ყვავილები, მუსიკა, პოეზია. განსაკუთრებით მოსწონს ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის ლექსები. თეო თვითონაც წერს ლექსებს და თავის ფიქრებსა და აზრებს გარითმულ სტრიქონებში აქსოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ნატოს

ნატო, ნატო, ნატულა,
ლამაზო, თვალხატულა,
დედა, დედას რომ იძახი,
სხვა არავინ არ გინდაა?

### ზამთარი

მოვიდა ზამთარი
თავისი ფიფქებით,
ნეტავი იცოდე,
როგორ ვფიქრდები...

### დედას

დედავ საყვარელო,
დედავ სანატრელო,
დედავ საფიქრალო,
დედავ ნაღვლიანო,
ალბათ ჩემზე ფიქრი
და ზრუნვა გღლიანო.



9 წლის თეონა ხარძიანი გარდაბნის რაიონის სოფელ ნაგებში ცხოვრობს და სწავლობს







ამ ნახატების ავტორი ბექა ნავროზაშვილი თბილისის მე-15 სკოლის მესამეკლასელია. ბექა ხატავს ყველაფერს, რაც მოსწონს და აინტერესებს.

ოდოშხერი

# მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს...

## დავით სარაჯიშვილი

„საქართველოს გაცხოველება მხოლოდ მისის ეკონომიური სიძლიერის ძლიერებით შეიძლება. ამისათვის საჭიროა ჯერ პირადად ყველა ქართულის თაოსნობისა და ენერგიის გაძლიერება, მერე შეერთებული შრომა კოოპერატივებით და ბოლოს სახელმწიფო დახმარების მოპოვება... ჩვენი ძალი და ღონე ყოველთვის პირველად ჩვენს ეკონომიკურ წარმატებას უნდა მოვახმაროთ, რადგან უამისოდ იმ მცირე რასმეს სულიერ კულტურასაც, რომელიც წარსულ საუკუნეებში შევიძინეთ, მკვიდრი საფუძველი არ ექნება და ისიც ჩაინთქმის და გაქრება ჩვენს ნივთიერ და სულიერ სილატაკეში, და ჩვენც ეკონომიურად სუსტნი, დავმარცხდებით არსებობის ბრძოლაში და ან გავწყდებით, ან გადავგვარდებით" –ასე აზროვნებდა საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი პირველი ქართველი კაპიტალისტი, სამამულო კონიაკის წარმოების პიონერი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი.

დავით სარაჯიშვილისნაირი ადამიანები ყოველთვის ყველაზე მეტად აკლდა საქართველოს. გარდა იმისა, რომ იგი დიდად განათლებული, გონიერი და ნიჭიერი პიროვნება გახლდათ, დავით სარაჯიშვილი იმ იშვიათ ქართველთა რიცხვს განეკუთვნებოდა, ვინც მემკვიდრეობით მიღებული ქონების გამრავლება, მიზანდასახულად გამოყენება და საქვეყნო საქმეებისთვის მოხმარება შეძლო.

ცხადია, დავითმა იცოდა, რომ დროთა განმავლობაში მამის, თბილისში ცნობილი დიდვაჭრის ზაქარია სარაჯიშვილის კაპიტალი როგორც ერთადერთ მემკვიდრეს, მას დარჩებოდა და ამიტომაც უნდოდა სათანადოდ მომზადებულს ჩაებარებინა საქმეები.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დავითი ერთი წელი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა, მერე კი სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა. ჯერ მიუნხენში ისმენდა ლექციებს, მერე კი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. ეს უკანასკნელი მან ქიმიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით დაამთავრა 1871 წელს. მაგრამ ჩათვალა რა, რომ შეიძლებოდა შეძენილი ცოდნა წინდაწინვე არჩეული საქმიანობისთვის არ ჰყოფნოდა, ჯერ ქ.ჰოპენჰაიმში, მერე კი ქ.ჰალეში სოფლის მეურნეობის მეცნიერებას ეუფლებოდა. 1878 წელს სარაჯიშვილი საფრანგეთში გაემგზავრა. აქ იგი მეღვინეობის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლამ გაიტაცა. სწორედ მაშინ დაინახა უფრო გამოკვეთილად საქმე, რომლისთვისაც უნდა მოეხმარებინა თავისი ცოდნაც, ძალ-



ღონეც და კაპიტალიც. ეს საქმე კონიაკის და ლიქიორის წარმოება იყო. მხოლოდ დარგის გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ მისცა თავს უფლება საქართველოში დაბრუნებულიყო და სასმელების წარმოება დაეწყო. ამასთან მეტად გაბედული მიზანი დაისახა – საქართველოში არყის, ლიქიორის და კონიაკის წარმოება აეწყო და ჯერ დაეწეოდა ევროპის დონეს, მერე კი გაესწრო კიდეც.

1880 წელს დავითს მამა გარდაეცვალა და იგი იმავე წელს სამუდამოდ დაბრუნდა თბილისში. იმავე წელს მან ცოლად შეირთო ეკატერინე ფორაქიშვილი, რომელმაც ყოვლად ღირსეული მეუღლეობა და მეგობრობა გაუწია.

თავდაპირველად სიმამრთან ერთად კავკავის მახლობლად პატარა პრიმიტიული არყის სახდელი ქარხანა იყიდა და ევროპულ ყაიდაზე გადააკეთა და აღჭურვა. ამას მოჰყვა სარექტიფიკაციო ქარხნის მოწყობა თბილისში, სპირტსახდელი ქარხნები ერევნის მახლობლად, ლიქიორის ქარხანა თბილისში, არყის მეორე ქარხანა კავკავის ცენტრში...

მერე დიდი ხნის ნანატრი დღეც დადგა – 1885 წელს თბილისში გამოუშვეს პირველი ქართული კონიაკი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპაში წარმოებულ ამავე სასმელს. ამას მოჰყვა კონიაკის ქარხნების მშენებლობა ყიზლარში, ბესარაბიაში, გოგჩაში, ბარგოშეთში, შეიქმნა სავაჭრო საწყობები ბაქოში, პეტერბურგში, ვარშავაში, მოსკოვში, ოდესაში... მოლოდინი და რისკი გამართლდა – სარაჯიშვილის ფირმა აყვავდა, მისი წარმოების სასმელებმა აავსო რუსეთის ბაზრები, დიდ შემოსავალს სახელიც მოჰყვა. ქართულმა კონიაკმა ფართო აღიარება მოიპოვა. 1889 წელს თბილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სარაჯიშვილის ფირმამ ოქროს მედალი დაიმსახურა, პირველ ჯილდოს მოჰყვა სხვადასხვა ხარისხის მედლები პარიზში, ჩიკაგოში, პეტერბურგში, ოდესაში, ნიჟნი ნოვგოროდში, ყაზანში გამართულ გამოფენებზე.

დავით სარაჯიშვილი ბიზნესმენი, მეწარმე, კაპიტალისტი გახლდათ და ცხადია, საქმეს რომ იწყებდა და მასში ფულს რომ აბანდებდა, მოგებაზე ფიქრობდა, მაგრამ სიმდიდრეში იგი უწინარეს ყოვლისა თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის დახმარების საშუალებას ხედავდა და ამიტომაც უშურველად ახმარდა მოპოვებულ სახსრებს სამშობლოს აყვავების საქმეს. არ ყოფილა არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც საქართველოს წინსვლა-განვითარებას წაადგებოდა, რომელშიც მას თავისი დიდი წვლილი არ შეეტანა. ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, არქეოლოგიური ექსპედიციების სუფსიდირება, ბიბლიოთეკების შექმნა, სკოლების გახსნა, ეკლესიების აღდგენა-მოხატვა, ღატაკთა დახმარება – ასეთი ხასიათის იყო სიკეთე, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე აკეთებდა დავით სარაჯიშვილი.

დავითსა და ეკატერინეს შვილი არ ეყოლათ და ცხადია, განიცდიდნენ ამას, მაგრამ განა მათი შვილები არ იყვნენ ის დიდმელი გო-

გო-ბიჭები, რომლებსაც დ.სარაჯიშვილმა პირველი დაწყებითი სკოლა გაუხსნა, ან ობლები ილია და ანდრო მამაცაშვილები, რომლებსაც ყოველთვიური დახმარება დაუნიშნა და რომელთა აღზრდა-განათლებასაც თავად ხელმძღვანელობდა, ან მომავალი ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლის აშენებაშიც მან ქმედითი მონაწილეობა მიიღო და რომელსაც მთელი თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა (2309 ტომი) უანდერძა, ან კიდევ იმ სკოლების მოსწავლეები, რომლებიც დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ისევე როგორც მის სიცოცხლეში, ყოველწლიურ დახმარებას იღებდნენ, ანდა ხელმოკლე ვლადიკავკაზელი ოჯახის შვილები, რომლებსაც ეკატერინე ფორაქიშვილმა განათლების მისაღებად 30 ათასი მანეთი უანდერძა...

თვითონ დავით სარაჯიშვილს ხშირად უთქვამს. „რას მიქვიან უშვილობა! განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილოდ გასაწვრთნელი და განსწავლული, ჩემი შვილები არ არიანო?“ სასიქადულო მამულიშვილმა დააარსა კომიტეტი, რომელიც ავლენდა ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს და ხელს უწყობდა რუსეთსა და საზღვარგარეთ განათლების მისაღებად. სარაჯიშვილის სტიპენდიატები იყვნენ: კომპოზიტორები – მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი; მხატვრები – გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, გრიგოლ მესხი; მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე; მომღერლები – ვანო სარაჯიშვილი, ვალერიან ქაშაკაშვილი; პროფესორები – სოლომონ ჩოლოყაშვილი, სარგის კაკაბაძე და მრავალი სხვა.

დავით სარაჯიშვილის სახლის კარი მუდამ ღია იყო მეგობრებისთვის, საქართველოს სტუმრებისთვის, იმ დროის მოწინავე ადამიანებისთვის. მერე და როგორი ხალხი იყრიდა ხოლმე აქ თავს: დიდი ილია, აკაკი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი იაკობ გოგებაშვილი, არტურ ლაისტი, იონა მეუნარგია, გიგო გაბაშვილი, გიგო ტარსაიძე, იაკობ მანსვეტაშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია... ანუ ყველა ის, ვინც თავისი გულით, გონებით, ცოდნით, უნარითა და ენერგიით სამშობლოს ემსახურებოდა. აქ, ამ სახლში, რომელიც ერთგვარი ლიტერატურული სალონიც იყო, კითხულობდნენ პირველად თავის ნაწარმოებებს ქართველი მწერლები, მათ შორის, ილია ჭავჭავაძეც.

დავით სარაჯიშვილი 1911 წელს გარდაიცვალა. მისმა ანდერძმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა იგი მთელი სიცოცხლე – მთელი თავისი უზარმაზარი ქონება მან მშობელ ხალხს დაუტოვა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას – 300 000 მანეთი; ქალაქ თბილისს – საკუთარი სახლი მოწყობილობითურთ შიგ შინამრეწველობის მუზეუმის ან სურათების გალერეის მოსაწყობად; თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიას – 10 000 მანეთი; თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიას – 5 000 მანეთი; კონიაკის ქარხნის მუშებს – 25 000 მანეთი, მომსახურე პერსონალს - 100 000 მანეთი...

შეუძლებელია დავით სარაჯიშვილის დიდი ამაგისა და სამაგალითო ქველმოქმედების აღნუსხვა-ჩამოთვლა. დიდი მამულიშვილის მაღლი დღემდე მოჰყვება მის ქვეყანას. მადლიერმა ქართველობამ თავის სასიქადულო შვილს და მის მეუღლეს დიდების პანთეონში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი, მაგრამ საბჭოთა წლებში უგუნური ადამიანების განკარგულებით, კაპიტალისტი დავით სარაჯიშვილი და ეკატერინე ფორაქიშვილი ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს. 1994 წელს კი ორივეს ნეშტი სარაჯიშვილისვე სახსრებით აშენებულ ქაშვეთის ეკლესიაში დაკრძალეს.




*ი.ჭავჭავაძე* – ბავშვმა თავის დედაენაზე უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის ენაზე საკმაოდ გაწვრთნილი იქნება.

*პ.ბუასტი* – განათლება განძია, შრომა მისი გასაღები.

*ა.დისტერვეგი* – არასწორი ცოდნა არცოდნაზე უარესია.

*ფ.ვოლტერი* – წიგნი ჰგავს ზღვას, რომლის სიღრმიდან მყვინთავებს ძვირფასი მარგალიტები ამოაქვთ.

*კონფუცი* – სანამ დაჰპირდები, დაფიქრდი – შეძლებ თუ არა დაპირების შესრულებას, რადგან, თუ დაჰპირდი – ვალდებული ხარ შეასრულო კიდეც.

*პლუტარქე* – სხვადასხვა აქვთ ადამიანებს ადათი: ერთს ერთი მიაჩნია კარგად, მეორეს – მეორე. მაგრამ, რაც საუცხოოა ყველასათვის, – ეს თავისი მშობლიურის პატივისცემა და მოფრთხილება.

*ჰ.სენკევიჩი:* ბრმა რომ ქვას წამოკრავს ფეხს და წაიქცევა, ყოველთვის ქვას ლანძღავს, თუმცა დამნაშავე მისი სიბრმავეა.

*გოეთე* – ყოველდღე უნდა მოისმინო თუნდაც ერთი პატარა სიმღერა, ნახო ერთი პატარა ნახატი, წაიკითხო ერთი ბრძნული თქმა.

*დემოკრიტე* – პატიოსანია თუ არა ადამიანი – გამოიცნობა არა მარტო მისი საქმით, არამედ – სურვილითაც.

*ლაფატერი* – თუ გსურს ჭკვიანი კაცის სახელი გქონდეს – უნდა შეგეძლოს: გონივრული კითხვის დასმა, ყურადღებით მოსმენა, კითხვაზე პასუხის მშვიდად გაცემა, ლაპარაკის შეწყვეტა, – თუ არაფერი აღარ გაქვს სათქმელი.

*მომზენი* – რომ მკითხონ – ვინ არის განათლებული კაციო – ვუპასუხებ: განათლებული არის ის, ვისაც შეუძლია აზროვნება და თავისი ნააზრევის ორ ენაზე გადმოცემა.



???

ნიუ-ჯერსის ბინადარმა ამ დედაენოტმა და მისმა პატარა შვილებმა მშვენივრად გამოიზამთრეს ბებერი ხის ფუღუროში. სხვათა შორის, ენოტს მრეცხავსაც ეძახიან. უცნაური სახელია, არა? მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე ის გახლავთ, რომ მეცნიერებისათვის ჯერჯერობით უცნობი მიზეზებით, ამ ცხოველს ძალიან უყვარს საჭმლის რეცხვა. მოიქცევს წინა თათებში და სიქის გაცლამდე რეცხავს. თურმე ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა ენოტს „რეცხვით" საკუთარი ახალშობილი ლეკვებიც კი მიუსიკვდილებია.

ენოტი არის ჩრდილო, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. მათი ნახვა ყველგან შეიძლება, ოღონდ ძირითადად ღამით, დღე ძილს ამჯობინებენ. ენოტი შეიძლება გაუქმებული საკანალიზაციო მილშიც სახლობდეს და შენობის სხვენშიც, ქალაქის პარკშიც და კლდის ნაპრალშიც. ენოტი საშუალო ძაღლის სიმაღლისაა, სიგრძით 60 სანტიმეტრს აღწევს, კუდი კი 40 სანტიმეტრის სიგრძისა აქვს. ენოტი ადამიანს არ უფრთხის და კარგი შემგუებლობითაც გამოირჩევა.

???

## იცოდით, რომ...

# ყავა თხებმა აღმოაჩინეს?

უთუოდ გაგიკვირდებათ, მაგრამ ყავა ნამდვილად თხებს აღმოუჩენიათ. უხსოვარ დროში ერთ მწყემსს შეუნიშნავს, რომ მისი თხები რაღაც ბუჩქის ფოთლებსა და ნეკერს რომ მოწიწკნიდნენ, აღგზნებულ კუნტრუშს იწყებდნენ. ერთხელ ამ ამბავს მახლობელი მონასტრის მოძღვარი შესწრებია და თხების უცნაური ქცევის შემხედვარეს იმ ბუჩქისთვის ფოთლები და ნაყოფი შეუცლია, მოუხარშავს და ბერებისთვის დაულევინებია. ბერები მოყოჩაღებულან, ძილიც გაურთხობიათ და მთელი ღამე შეუსვენებლივ ულოციათ.

თურმე ყავის გამამხნევებელი თვისებები უძველეს მეომრებსაც სცოდნიათ. მათ ყავის ყვითელი მარცვლები შორეულ ლაშქრობებშიც თან ჰქონდათ. ჩაიგდებდნენ პირში, გაღეჭავდნენ და მხნეობა და ძალ-ღონე ემატებოდათ, მაგრამ საქმეს ნაკლებად სასიამოვნო გემო აფუჭებდა. მერე ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ ყავის მოხლა. დაფქვა და მოხარშვა მოიფიქრა. ის დღე იყო და ის - ამ სურნელოვანმა გამამხნევებელმა სასმელმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეაღწია და ჩაის გვერდით დაიმკვიდრა ადგილი.

ყავის ხის სახელწოდება სამხრეთ-დასავლეთ ეთიოპიის ერთ-ერთ მთიან ადგილს – კაფას უკავშირებენ, თუმცა მის ძირძველ ბოტანიკურ სამშობლოდ აბისინიის, ანგოლისა და მოზამბიკის კლდიანი ადგილები ითვლება. ენდროსებრთა ოჯახის 5000-მდე სახეობის ეს მარადმწვანე მცენარე ძირითადად ტროპიკებში ხარობს. კონკრეტულად ყავის ნაყოფს კი მათგან 50 სახეობა ისხამს. რასაც ჩვენ ვსვამთ, მხოლოდ ორი ჯიშის – არაბიკას და რობუსას ნაყოფია.

ყავის ხე აზიზი მცენარეა და 8 გრადუს სითბოს ქვემოთ უკვე იღუპება. თუმცა ვერც მზის მცხუნვარე სხივებს იტანს და ამიტომ სხვა მაღალი ხეების ჩრდილქვეშ ყველაზე უკეთ ხარობს. ნაყოფი წითელი ან მოლურჯო – შავი აქვს, რომელშიც ორი ოვალური მუქი ყვითელი ყავის მარცვალია - ერთდროულად ასხია მწიფე და ჯერ უვარგისი ნაყოფი. ერთი ზრდასრული ხე სულ რაღაც სამ კილო მოსავალს იძლევა და ისიც მთელი წლის განმავლობაში უნდა არჩიო და კრიფო. ისე რომ ყავის კრეფა საკმაოდ რთული საქმეა. ყავის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებას მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა. თავიდან განათლებულ ევროპაში „თურქების შავ სისხლსა“ და „ჭვარტლის სიროპს“ უწოდებდნენ, აძაგებდნენ და უბრალოდ, არ ესმოდათ მისი ფენომენი... მაგრამ გონიერმა ვაჭრებმა იმდენი მოახერხეს, რომ ყავა სრიოდე ათეული წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოს მოედო. ჰოლანდიელებმა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში იავასა და ბატავიის კუნძულებზე ყავის უზარმაზარი პლანტაციები გააშენეს. ფრანგმა კაპიტანმა დე კილემ სწორედ ჰოლანდიელებს მოჰპარა ყავის რამდენიმე მარცვალი და პარიზის ბოტანიკურ ბაღში გადასარა. რამდენიმე წელიწადში კი დე კილეს მარტინიკის კუნძულზე 16 მილიონი ყავის ხის პლანტაცია ჰქონდა. ამ კუნძულზევე დაუდგეს თანამემამულე კაპიტანს ფრანგებმა ძეგლი. ბრაზილიელებმა კი „ყავის ბიზნესში“ დამსახურებისათვის ქალაქ სან-პაულოს ცენტრალურ მოედანზე ყავის ხეს ბრინჯაოს ძეგლი აუგეს.



არადა, კაცობრიობა კარგა ხანს ყოყმანობდა: დაელია თუ არა ყავა?

ევროპაში პირველად ეს კითხვა მე-16 საუკუნეში დაისვა. ამ დროისათვის მექაში მუჰამედის სახელით ყავა უკვე ანათემას იყო გადაცემული, თურქული კანონით კი იმას, ვინც ყავას მიეწეოდა, იმავე ყავის ტომარაში გამოკრავდნენ და ზღვაში გადაუძახებდნენ. ამგვარ კანონს არც თურქები შეუშინებია, და არც არაბები. მათი წყალობით, ყავამ ჩრდილოეთისკენ გაიკვლია გზა.

პირველი ყავახანა ევროპაში იტალიელებმა გახსნეს 1646 წელს. ექვსი წლის შემდეგ კი პირველი ყავახანის პატრონმა – ბერძნული წარმოშობის თურქმა ტყვე ქალმა მიიღო პირველი სტუმარი. აღმოსავლელი მბრძანებლებისაგან განსხვავებით, საფრანგეთის მეფე ლუი მეთოთხმეტემ ძალიან მოიწონა სასმელი და სპეციალური ბრძანებულებით აღიარა იგი. 1720 წელს პარიზში უკვე 380 ყავახანა იყო.

საინტერესოა ყავის პოლონური ეპოპეა. ერთმა გამჭრიახმა პოლონელმა რაინდმა თურქთა ამალის დარბევის შემდეგ მტრის კარვიდან მთელი ტომარა ყავის მარცვალი გამოაყოლა ხელს და სამშობლოში პირველი საყავე დააარსა.

ევროპა ტომრებში არ კრავდა „დამნაშავეებს“, მაგრამ ყავას მაინც სკეპტიკურად უყურებდა. კონსერვატორი ფეოდალები თავის ქვეშევრდომებს საერთოდ უკრძალავდნენ ყავის სმას და ამისათვის გარკვეული ჯარიმაც იყო დაწესებული.

გამოხდა ხანი და მთელმა კაცობრიობამ მიიღო ყავა.

ამ სასმელისადმი დამოკიდებულება ბალზაკმა ასე განსაზღვრა: „ფინჯანი ყავის მერე გონება ფეთქდება, აზრები ისეთი მიჯრით მოდიან, როგორც ბრძოლის ველზე ძლიერი ჯარის ბატალიონები“.

საერთოდ ყავის ყველაზე დიდი მოყვარულები სკანდინავიელები არიან, განსაკუთრებით შვედები. თითო შვედი წელიწადში 7 კილოგრამზე მეტ ყავას ნთქავს. ინგლისელებმა ტრადიციას არ უღალატეს და დღემდე ჩაის ანიჭებენ უპირატესობას. ყველაზე მაგარ ყავას უნგრელები და პოლონელები ადუღებენ.

საქართველოში ყავის მასობრივი ბუმი გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, მანამდე მას ვიწრო წრეებში თუ მიირთმევდნენ, ამასთან ჩვენი ბებიები რძიან ყავას ამჯობინებდნენ. დღეს კი თითქმის ყველა ქართულ ოჯახში ცისმარე დღე ფინჯანი ყავით იწყება. სხვადასხვა ოფისებსა თუ დაწესებულებებში ხომ გაუთავებლად შეექცევიან ამ სასმელს. ყავის ქება-დიდებას უთუოდ გაფრთხილება უნდა ვაახლოთ – დიდი რაოდენობით შავი ყავა არ არის რეკომენდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ვამბობთ ასე?

*ლენცოფა ხომ არ გიჭამია?* ხომ არ გაგიჟდი, ხომ არ გადაირიე? ლენცოფა ნარკოტიკული და შხამიანი მცენარეა. მისი ნაყოფის ჭამა ადამიანს გადარევს. ასე მიმართავენ არანორმალურად, არეულად მოლაპარაკე, ანდა უცნაური საქციელის ადამიანს.

*მე კი მიყივლია და...* ჩემი ვალი მომიხდია, გამიფრხილებიხართ, განსაცდელის მოახლოება შემიტყობინებია. ეს გამოთქმა ნაწილია ანდაზისა: მამალმა თქვა, მე კი ვიყივლებ და, გინდ გათენდეს და გინდ არაო. იხმარება გაფრთხილების, თავისი მოვალეობის შესრულების, პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნის აზრით.

*მზის ნატეხი, მზის მონათალი* მეტად ლამაზი, უებრო, მშვენიერი, სწორუპოვარი.

*მკვდარსაც კი ფეხზე გააქნევინებს* მეტისმეტად ხუმარა, მხიარული გუნების ადამიანზე იტყვიან.

*ნატისუსალი* ასდის არაფერი აბადია, ძალზე ღარიბია.

*ნატისუსალი* რისამე ნამწვის სუნი. როცა სახლს ნატისუსალი ასდის, იმას ნიშნავს, რომ მის პატრონს ყველაფერი დაეწვა და ცარიელ-ტარიელი დარჩა.

*ნახტომშეშლილი* სიმართლეს, პატიოსნებას აცდენილი, ხელმოცარული, საქმეარეული.

*ჭოტი დაიჭირა* ცუდი საქმე დაემართა ჩვენი ხალხის აზრით, ჭოტი ეშმაკეული ფრინველია, ღამე მისი ძახილი უბედურების მომასწავებელია.



## სიტყვის კონა

*დაჩურჩვა* — ჩურჩის შემოცლა, დარჩევა, დამარცვლა (ჯარკოსანი მცენარის ნაყოფისა), კურკის გამოცლა )კურკოვანი ხილისთვის).

*სოხანე* — მიწის იატაკი.

*სოვდაგარი* — დიდი ვაჭარი, ბითუმად მოვაჭრე.

*ღარღლი* — ნაწყენობის, უკმაყოფილების გრძნობა, ეჭვი.

ღული — დაკბილული ნამგალი.

*ყარტლი* — სიბინძურე, ჭუჭყი.

*ყაჯარი* — უნაგირზე გადასაფარებელი დაქარგული ქსოვილი.

*ყევარი* — ორი უღელი ხარკამეჩი.

*ყინჩი* — მოხდენილი, ლამაზი.

*ყოყინი* — კამეჩის, ზაქის ხმიანობა.

*შანა* — რაიმე ნივთი, რომელსაც შეულოცავდნენ ხოლმე და ყელზე ან მაჯაზე აბამდნენ ვითომდა ავი თვალისაგან დასაცავად.

*შანდაკი* — 1. ვაკე, მოსუფთავებული ადგილი. 2. ბათქაშის მოსასწორებელი, მოსაპირკეთებელი იარაღი.

## რა და რა ჰქვია რას და რას

## უღელი



# ვიქტორინა «ჭკუის კოლოფებისათვის»




1. თბილისის წმინდა გიორგის ქაშვეთის ეკლესია მოხატა...

ა)... ლადო გუდიაშვილმა

ბ)... დავით კაკაბაძემ

გ)... ირაკლი გამრეკელმა

2. ამ ჩასაბერ საკრავს ჰქვია...

ა)... საყვირი

ბ)... ტრომბონი

გ)... ვალტორნა




3. დავითის ქანდაკების ავტორია...

ა)... მიქელანჯელო

ბ)... დონატელო

გ)... ჩელინი




4. ცნობილი ზღაპრის „მეძავარი კალის ჯარისკაცის“ ავტორია...

ა)... შარლ პერო

ბ)... ჰანს ქრისტიან ანდერსენი

გ)... ჰოფმანი

5. შავლეგ, შენი ყაწიმი,
დედის ცრემლის ნაწვიმი,
ისევ მზეზე პრიალებს...
შენი ბასრი მახვილი
და ლომური სახელი
გულს კვლავ გვილამპრიანებს!

ამ ლექსის ავტორია...

ა)... სანდრო შანშიაშვილი

ბ)... იოსებ ნონეშვილი

გ)... გიორგი ლეონიძე

**ვიქტორინის წინა ტურის სწორი პასუხები:**

1. ჯუზეპე ვერდი;
2. ბორის ციბაძე;
3. ოგიუსტ როდენი;
4. საფრანგეთი;
5. იკაროსი.

# კითხვა — თქვენი

## რა არის დაზღვევა?

ბოლო დროს დაზღვევას ტელევიზიითაც ფართოდ უწევენ რეკლამას, ქუჩებშიც ხშირად ვხვდებით სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების სარეკლამო ფარებს, რომლებიც მოსახლეობას ამა თუ იმ სახის დაზღვევას სთავაზობენ. პირადად მე ძალიან ბუნდოვნად მესმის, რა არის საერთოდ დაზღვევა, რა სახის საქმიანობას მოიცავს იგი. მშობლებს რომ ვკითხე, ზოგადად ამიხსნეს, ადრე რაღაც პრიმიტიული სახის დაზღვევა არსებობდაო, მის ახლანდელ არსზე კი თვითონაც ნაკლები წარმოდგენა აქვთ. გთხოვთ, გვიამბოთ, მაინც რა არის დაზღვევა, როდის გაჩნდა იგი და ა.შ.

*ნანა ბარამიძე, ქ. თბილისი*

---

დაზღვევას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მას ჯერ კიდევ შუმერების ეპოქაში, ჩვ. წ. აღრიცხვამდე IV-III – ათასწლეულში დაედო სათავე. მერე და მერე იგი განვითარდა ბაბილონში, ეგვიპტეში, ათენსა და რომში. ძველ რომში, მაგალითად, სახლებს ხანძრისგან აზღვევდნენ. იმავე პერიოდში გადაიდგა ადამიანის სიცოცხლის დაზღვევის პირველი ნაბიჯებიც. შორეულ შუმერში, ეგვიპტესა და ძველ რომში დაწყებული სადაზღვევო საქმე წარმატებით ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მკვეთრი ძვრები იწყება გვიანი შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში, როდესაც დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და ახალი ტერიტორიების ათვისებამ, ვაჭრობის გაფართოებამ და მიმოსვლის გაძლიერებამ დღის წესრიგში დააყენა დიდი ექსპედიციების, შემდგომში კი ყოველგვარი სავაჭრო გემების, მათი ეკიპაჟებისა და გადასაზიდი ტვირთების ეპიდური შემთხვევებისაგან დაზღვევა.

უფრო კონკრეტულად კი ყველაფერი ასე დაიწყო: XVII საუკუნეში ლონდონში ძალზე პოპულარული გახდა ყავის სახლები, სადაც ურთიერთობას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ინტელექტუალურ საუბრებს მოწყურებული საზოგადოება იყრიდა თავს. ბრიტანელები ნება-ნება მიირთმევდნენ სურნელოვან ყავას და ბაასობდნენ, ბჭობდნენ, ხანდახან კი იქვე ადგენდნენ და წერდნენ ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, სამხედრო თუ საზღვაო ტრაქტატებს. აი, ასეთ ატმოსფეროში, რომელიც ყავის სახლებში სუფევდა, ხშირად იბადებოდა ახალი იდეები, საძირკველი ეყრებოდა და ახალ წამოწყებებს. სწორედ ერთ-ერთ ამგვარ დაწესებულებაში, ედუარდ ლოიდის ყავის სახლში ჩაეყარა საფუძველი სადაზღვევო საქმეს. იმხანად ლონდონში უამრავი მოგზაური, ვაჭარი, გემთმფლობელი თუ მეკობრე იყრიდა თავს. ბევრი მათგანი ლოიდის ყავახანის ხშირი სტუმარი გახლდათ. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, ვისაც ზღვაში გასული გემების უკან დაუბრუნებლობის შედეგად დიდი ზარალი ენახათ. ძალზე ხშირი იყო შემთხვევები, როცა ძვირფასი საქონლით დატვირთული გემი ზღვაზე ატეხილი შტორმის გამო იღუპებოდა ან მეკობრეებს უვარდებოდა ხელში. ლოიდი და მისი თანამოსაქმენი ყურადღებით უსმენდნენ ყავახანის სტუმრების სათავგადასავლო ამბებს და ერთხელაც ყავის სახლის მეპატრონეს საინტერესო იდეა დაებადა. სულ მალე კი იდეამ ხორცი შეისხა. ლოიდის ძალისხმევით ალბათობის თეორია ბიზნესად იქცა. ყავახანის გონიერი მეპატრონე მიხვდა, რომ ამ თეორიაზე დაფუძნებულ ბიზნესს დიდი შესაძლებლობები გააჩნდა და მას უზარმაზარი მოგების მოტანა ძალუძდა. მაგრამ ბატონი ლოიდი იმასაც აცნობიერებდა, რომ საქმეში წარმატების მიღწევა მაშინ შეიძლებოდა, თუ ექნებოდა დაწვრილებითი ინფორმაცია გემის კონსტრუქციის, მისი ფაქტიური მდგომარეობის, კაპიტნისა და მეზღვაურთა განსწავლულობის შესახებ. სწორედ დიდმა ინფორმაციამ, ყავის სმისას დაფქულმა ამბებმა უკარნახეს ლოიდს ეს ბედნიერი იდეა. მან იდეები საქმედ აქცია და სარისკო გზაზე დამდგარ გემთმფლობელებს, ვაჭრებსა და სხვა ჯურის ზღვაოსნებს მათი საკუთრების დაზღვევა შესთავაზა. შეთანხმდნენ, რომ გემების დაღუპვის ან დაკარგვის შემთხვევაში გასაკოტრებლად არ გაეწირათ ის, ვინც გემი ექსპედიციისათვის გაამზადა და მიყენებული ზარალი თანაბრად გაეყოთ. ამისთვის უნდა აღერიცხათ ექსპედიციის ქონება და შეექმნათ სპეციალური ფონდი. დაზარალებულ გემის მფლობელს ხელის მოცარვის შემთხვევაში სწორედ ამ ფონდიდან აღმოუჩენდნენ დახმარებას.

ასე ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან და დღეგრძელ სადაზღვევო კომპანიას „New Iloyd". სიცოცხლის ბოლოს ბრიტანეთის მეფემ ედუარდ ლოიდს აზნაურის ტიტული და „სერ"-ის წოდება უბოძა. სერ ედუარდ ლოიდის სიკვდილის შემდგომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სადაზღვევო ორგანიზაციებს ლოიდები ეწოდა.

საქართველოში დაზღვევა არც ისე ახალი დარგია. მე-19 საუკუნის საქართველოში საფონდო

და სასაქონლო ბირჟასთან ერთად, სადაზღვევო ორგანიზაციებიც არსებობდა. სხვათაშორის, ჩვენი დიდი კლასიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი ერთი პერიოდი სადაზღვევო ორგანიზაციის აგენტადაც მუშაობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვანი სადაზღვევო კომპანიები ერთ დიდ სახელმწიფო დაზღვევად გარდაიქმნა, 1991 წლიდან კი საქართველოში ახალი სადაზღვევო ორგანიზაციების შექმნა დაიწყო. დაზღვევა თავისი შინაარსით არის ფიზიკური და იურიდიული პირების მოსალოდნელი ზარალისგან მატერიალური დაცვის უმნიშვნელოვანესი საშუალება. ზარალი კი საზოგადოდ, და მით უმეტეს ჩვენს რთულ ყოფიერებაში შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მოვლენებით, კერძოდ, სტიქიური უბედურებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, გვალვა და სხვა), ძარცვის, ყაჩაღობის, ქურდობის, ავარიის, ჯანმრთელობის გაუარესებისა და თვით ადამიანის სიკვდილით. ეს ყოველივე თავისთავად ტრაგიკულია, მაგრამ არანაკლებ ტრაგიკულია ამ მოვლენების ფინანსური მხარე. ავადმყოფობის შედეგად ლოგინად ჩავარდნილი ოჯახის მარჩენალის, ნახანძრალი შენობების, დასეტყვილი ვენახის მეპატრონის უკანასკნელი იმედი მხოლოდ დაფინანსების (დახმარების) ისეთი მექანიზმია, როგორიცაა დაზღვევა. მაინც როგორ ხდება დაზღვევა? სპეციალური ორგანიზაციები – მზღვეველები იღებენ შენატანებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, რომლებთანაც დადებულია დაზღვევის ხელშეკრულება. ამ შემთხვევის დადგომისას დამზღვევს ფულადი კომპენსაცია (დახმარება) უნდა გადაუხადონ. მზღვეველი  არის დაზღვევის გამტარებელი ორგანიზაცია, რომელიც ვალდებულებას იღებს აანაზღაუროს ზარალი ან გასცეს სადაზღვევო თანხა; დამზღვევი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც მზღვეველთან დადო დაზღვევის ხელშეკრულება. სადაზღვევო შემთხვევებია: ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა, გვალვა, ავარია, ჯანმრთელობის გაუარესება და ა.შ. დაზღვევა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და სავალდებულო, ქონებრივი და პირადი. ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება დამზღვევსა და მზღვეველს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; სავალდებულო დაზღვევა კი არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

პირადი დაზღვევა დაკავშირებულია დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან. პირადი დაზღვევა მოიცავს: სიცოცხლის, დაზღვევას, დაზღვევას უბედური შემთხვევებისაგან, საპენსიო და სამედიცინო დაზღვევას.

ქონების დაზღვევა დაკავშირებულია ქონების ფლობასთან, სარგებლობასთან და განკარგვასთან. იგი მოიცავს: სახელმწიფო სატრანსპორტო, საჰაერო სატრანსპორტო, საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთების, სხვა სახის ქონებისა და ფინანსური რისკების დაზღვევას.

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 15 სადაზღვევო კომპანია: „ალდაგი“, „ენიკი“, „იმედი L“, „ანგლო ქართული“, „ბრიტანეთი-კავკასია“, „ნაბათი“, „ჰელიოსი“, „ახალი სადაზღვევო კომპანია“, „მადლი“, „არესი“, „ევროაზიური“, „ჯანი“, „ანკორა“, „ინტერენერჯი“, „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“. აღნიშნული სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა სახის სადაზღვევო მომსახურებას ეწევიან.

საქართველოში ბავშვთა სამედიცინო დაზღვევას ახორციელებს სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია „ალდაგთან“ ერთად, თბილისის 3-დან 15-წლამდე ასაკის მოსახლეობის სტაციონალური სამედიცინო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დააზღვიოს თბილისში მცხოვრები 3-დან 15-წლამდე ასაკის ნებისმიერი მოქალაქე. პროგრამაში განსაზღვრულია დაავადებათა სია, რომლითაც ბავშვის ავად გახდომის შემთხვევაში მას სახელმწიფო უხდის მკურნალობის ხარჯებს.

გაუთვალისწინებელ მოვლენებთან გამკლავება არასოდეს ისე ძნელი არ ყოფილა, როგორც დღეს, ამიტომაც ასეთი მოვლენებისაგან თავის დაზღვევა განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს. მთელი ცივილიზებული სამყარო ფიქრობს მომავალზე, აზღვევს საკუთარ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაზღვევის პრობლემების კვლევა ჩვენს ქვეყანაშიც გაღრმავდება და რაც მთავარია, გაიზრდება სადაზღვევო კულტურა, რომელიც სიკეთის მეტს არაფერს მოუტანს ქართველ ხალხს.

*ნათია მეძმარიაშვილი*
*თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსებისა და საბანკო საქმის“*
*IV კურსის სტუდენტი*

# პასუხი — ჩვენი

# ჩვენი ენციკლოპედია



გაერო — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როცა სანფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. გაეროს შექმნის საფუძველი გახდა ჰიტლერული გერმანიისა და მისი ბლოკის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა გაერთიანება მძლავრ კოალიციად. 1942 წლის 1 იანვარს ამ სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს „გაერთიანებული ერების დეკლარაციას," რომლიდანაც წარმოდგა ორგანიზაციის სახელწოდება. გადაწყვეტილება ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე სსრკ-მ, აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა მიიღეს.

გაეროს მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით.

საქართველო გაეროს წევრი გახდა 1992 წლის 31 ივლისს. გაეროს მთავარი ბინა ნიუ-იორკშია: იქ არის მისი მუდმივმოქმედი ორგანოები — უშიშროების საბჭო და სამდივნო. გაეროს ოფიციალური ენებია ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური. სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული. საქართველო გაეროს წევრი გახდა 1992 წლის 31 ივლისს.

ევროპის საბჭო — დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საკონსულტაციო პოლიტიკური ორგანიზაცია. ევროსაბჭოს წესდებას ხელი მოაწერეს 1949 წლის 5 მაისს ლონდონში. თავდაპირველად საბჭოს წევრები იყვნენ ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, საფრანგეთი, შვეცია, შემდეგ მას შეუერთდნენ საბერძნეთი, თურქეთი, ისლანდია, გერმანია, ავსტრია, კვიპროსი, შვეიცარია, მალტა და სხვა.

ევროსაბჭოს მთავარი ორგანოებია მინისტრთა კომიტეტი და საკონსულტაციო ასამბლეა. ევროსაბჭო მოწოდებულია განახორციელოს მასში შემავალ სახელმწიფოთა პოლიტიკის კოორდინაცია. საქართველო ევროსაბჭოს წევრია.

დემოკრატია — ბერძნული სიტყვაა და სახალხო ხელისუფლებას ნიშნავს. ეს არის მმართველობის სახალხო ფორმა, რომლის დროსაც ხალხი აღჭურვილია უმაღლესი ძალაუფლებით და ან უშუალოდ ახორციელებს მას, ან თავისი არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით თავისუფალი საარჩევნო სისტემის დროს.

UNESCO

იუნესკო — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულება არსებობს 1946 წლიდან. იუნესკოს მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისთვის ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად. იუნესკოს შტაბ-ბინა პარიზშია. იუნესკოს უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, აღმასრულებელი ორგანო — აღმასრულებელი საბჭო და სამდივნო. იუნესკოს მთელ მსოფლიოში აქვს თავისი წარმომადგენლობები, მათ შორის საქართველოშიც. იუნესკო ყოველწლიურად ატარებს 150-მდე ღონისძიებას — კონფერენციებს, სხდომებს, სიმპოზიუმებს, გამოსცემს პერიოდულ და სერიულ გამოცემებს რამდენიმე ენაზე.

# ზაზა სამჭკუაშვილის ფათერაკიანი თავგადასავალი

# კომიქსი

მხატვარი
ნინო ორჯონიკიძე



# რჩევები ბიჭებს

# მაღალი რომ გაიზარდო

1



6



ამერიკელი მსახიობი ფრანკ ვილარდი მრავალი წლის მანძილზე აოცებდა ცირკის მაყურებლებს ერთი თავისი ნომრით. მანეჟზე საშუალო ტანის ჩვეულებრივი ადამიანი გამოდიოდა, გაოგნებული პუბლიკის თვალწინ მისი სიმაღლე სწრაფად იზრდებოდა და სულ რამდენიმე წუთში ვილარდი 20 სანტიმეტრით იმატებდა... ვილარდის ეს ნომერი მარტო მაყურებლებს კი არა, მეცნიერებსაც აკვირვებდა. ერთხელაც დაინტერესებულმა მეცნიერებმა პირდაპირ მანეჟზე გადაუღეს მსახიობს რენტგენის სურათი და აი რა დაადგინეს: ხერხემლის ფორმას კუნთების ორი საპირისპირო მომუშავე ჯგუფი მართავს: პირველნი ცდილობენ მოხარონ იგი, მეორენი კი მის გამართვას ლამობენ. იმის მიხედვით, თუ მოცემულ მომენტში რომელ კუნთებს უფრო ძლიერად ძაბავს ადამიანი, მისი ხერხემალი ან იხრება, ან იმართება. ეს დაახლოებით ისევე ხდება, როგორც ხელების, ფეხების მოხრისა და გაშლის დროს, როცა ჩვენ შესაბამის კუნთებს ვძაბავთ. ვილარდის ოსტატობა იმაში მდგომარეობდა, რომ არენაზე გამოსვლისას იგი მაქსიმალურად ძაბავდა „მომხრელ" კუნთებს, ანუ „კეცავდა" ხერხემალს და მაშასადამე, სიმაღლეს იკლებდა. ნომრის შესრულების დროს კი მსახიობი ნელ-ნელა ადუნებდა მომხრელ კუნთებს, ხოლო „გამმართველ" კუნთებს, მაქსიმალურად ძაბავდა და ამ დროს ხერხემალი თითქმის სწორი ხდებოდა. სწორედ ამიტომ ახერხებდა საზრიანი მსახიობი ერთი თავით გაზრდილიყო და აღტაცებაში მოეყვანა ამის შემხედვარე მაყურებელი. ახლა იალქნიანი ფლოტისდროინდელი მეზღვაური ოფიცრებიც გაიხსენეთ ფილმებიდან, წიგნებიდან. როგორი მოხდენილი და კოხტები იყვნენ! რატომ? თურმე იმიტომ, რომ დიდი ღელვისა და შტორმის დროს ოფიცრები ყოველთვის ცდილობდნენ მტკიცედ მდგარიყვნენ თავ-თავიანთ პოსტებზე და მაშინაც კი როცა გემბანი ფეხქვეშ ეცლებოდათ, ფეხი არ მოეცვალათ, ამისათვის კი ზურგით ანძას ეკვროდნენ. ამის შედეგად კი ზურგი ლარივით სწორი, მხრები და მკერდი გამართული უხდებოდათ და ის „მეზღვაურული" მიხვრა-მოხვრა უმუშავდებოდათ, ყველა ნაღდ მეზღვაურს რომ გამოარჩევს. ალბათ ადვილად მიხვდებით, რომ სწორი, გამართული ზურგი სიმაღლის მომატებასაც ნიშნავს. აქედან გამომდინარე, გვინდა შემოგთავაზოთ მარტივი ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი, რომლებიც „გამმართველი" კუნთების ამუშავების წყალობით „გაზრდის" საშუალებას მოგცემთ. ერთდროულად კი მიხვრა-მოხვრას და სიარულსაც გაგიუმჯობესებთ.

2



7



8



3



შემოთავაზებული ვარჯიშების შესრულება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, ოღონდ ჭამიდან 1,5 საათის შემდეგ და ძილამდე 1,5 საათით ადრე. პირველი თვის მანძილზე თითოეული ვარჯიში 3-5 -ჯერ შეასრულეთ ისე, რომ მთელ კომპლექსს 12-15 წუთი მოანდომოთ. თანდათან ვარჯიშების გამეორება 10-12-მდე, ვარჯიშის დრო კი – 25-30 წუთამდე გაზარდეთ. ეცადეთ თანაბრად ისუნთქოთ. ვარჯიში 3-5 წუთიანი მსუბუქი მოთელვით დაიწყეთ.

4



9



1. ეცადე, ბეჭებით გამოშვერილ კუთხეს შეეხო;
2. თითის წვერებზე აწეულმა სცადე მისწვდე.
3. ნახტომში ხელებით შეეხე განივ თამასას;
4. თავისუფლად დაეკიდე ღერძზე;
5. თითებით შეეხე კედელს;
6. ჯოხი იდაყვებში მოიქციე, გამოიზნიქე და შეასრულე ბუნებრივი მარჯვნივ და მარცხნივ;
7. ჯოხი თავს ზემოთ ასწიე, უყურე მას და ისე შეასრულე დახრები მარჯვნივ და მარცხნივ;
8. გაკვრითი მოძრაობები ხელებით მკერდის წინ და განზე ტანის მარჯვნივ და მარცხნივ ტრიალით;
9. ეცადეთ მაქსიმალურად აზიდოთ ტანი;
10. ხელების წრიული მოძრაობა;

5





10

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რჩევები გოგონებს

# ხომ გინდა, ყველა შემოგნატროდეს?



1

გინდა, მუდამ ხალისიანი, მოხდენილი და ჯანმრთელი იყო?

გინდათ, ახლავე ჩაუყარო საფუძველი საკუთარი ტან-ფეხის მარად ახალგაზრდა მოყვანილობას?



2

მაშინ მოჰყე ჩვენს რჩევას და სავალდებულოდ გაიხადე ვარჯიშების კომპლექსი ამერიკელი კინოვარსკვლავის, მარად ახალგაზრდა ჯეინ ფონდას არსენალიდან. კომპლექსის დაწყებამდე შეასრულე ჩვეულებრივი სამ-ხუთწუთიანი მოთელვა. პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველ ვარჯიშს ხუთზე მეტად ნუ შეასრულებ, მერე კი ტემპს თანდათან მოუმატე. ინვენტარი ძალზე მარტივი დაგჭირდება: ლერძი, 1,3 მ. სიგრძის ჯოხი, 3 კილოგრამიანი ჰანტელები და პატარა ნოხი.



3

ახლა კი უშუალოდ ვარჯიშები.

1. იატაკიდან აზიდვა 20-ჯერ;
2. აზიდვა ლერძზე განზე გაშლილი ხელებით 10-ჯერ;
3. დახრები ჯოხითა და ჰანტელებით 15-ჯერ;
4. ჯოხის მთელი ძალით „მოჭერა" 3-5 წამით 15-ჯერ;
5. ჰანტელების აწევ-დაწევა 15-ჯერ;
6. ხელებით იატაკს დაეყრდენი, ასწიე ფეხები და დაახლოებით 5 წამის განმავლობაში გააჩერე ისინი სურათზე მითითებულ მდგომარეობაში 10-ჯერ;
7. ჩაჯდომა ჯოხითა და ჰანტელით. ზურგი გამართული იქონიე. ფეხისგულები იატაკს არ მოსწყვიტო 10-ჯერ;
8. დაწექით ნოხზე, გამართული ხელები აწიე და ჩამოსწიეთ ჰანტელები. 15-ჯერ;
9. ჩამოეკიდე ლერძს და ფეხებით მართი კუთხე გაჭიმე 15-ჯერ;
10. დაწექი იატაკზე, ჰანტელები თავს ზევით დაიჭირე და მაქსიმალურად წამოიწიეთ იატაკიდან. 10-ჯერ.



4



5



6



7



8



9



10

# სიცილის გაკვეთილი

* * *

არითმეტიკის გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს წილადებს უხსნიდა.

– პატარა პურის ნაჭერი შუაზე რომ გავყოთ, რას მივიღებთ, ჰანს? – ჰკითხა მან ერთ-ერთ მოსწავლეს.

– ორ თანაბარ ნაჭერს. – მიუგო ბიჭუნამ.

– სწორია. თუ იმ ნახევარს კიდევ გავყოფთ, მაშინ რაღას მივიღებთ, ფრიც? – ჰკითხა მეორეს.

– ერთ მეოთხედს.

– ძალიან კარგი. თუკი იმ მეოთხედს კვლავ ორ თანაბარ ნაწილად გავყოფთ, კარლ?

– ერთი მერვედი იქნება.

– ჩინებულია. ის ერთი მერვედი რომ კიდევ ერთხელ გავყოთ, რას მივიღებთ, პაულ?

– ნამცეცებს, ბატონო მასწავლებელო.



* * *

– ეს რა ყმაწვილები გვეზრდება! – ქოთქოთებდა ბატონი ვინკლერი ტრამვაიში, – არავითარ ყურადღებასა და თავაზიანობას არ იჩენენ, უდისციპლინონი არიან.

– რას უსაყვედურებთ ნეტავი? – გამოეპასუხა გვერდით მჯდომი მამაკაცი, – იმ ჭაბუკმა ხომ დაგითმოთ ადგილი და მშვენივრად ზიხართ!

– მე კი, მაგრამ ჩემი ცოლი რომ ამდენი ხანია ისევ ფეხზე დგას?

* * *

– ბავშვებო, რა არის უსასრულობა?

– სამყარო და სასწავლო წელი, პატივცემულო მასწავლებელო, – იყო ერთ-ერთი მოწაფის პასუხი.

* * *

პატარა მარენკა სასეირნოდ იყო გარეთ. უცებ დედამისმა დაინახა, რომ მარენკა ძროხასთან მისულა და შოკოლადს აჭმევს.

– რას აკეთებ? – გაუჯავრდა დედა შვილს.

– არაფერს, დედიკო, ძროხას შოკოლადს ვაჭმევ, ხვალ რომ კაკაო მოიწველოს...

* * *

– კარლიჩეკ, თევზებს ახალი წყალი ჩაუსხი თუ არა? – ეკითხება დედა შვილს.

– არა, დედიკო, ჯერ ძველი წყალი არ დაულევიათ...

* * *

უცხო კაცი ეკითხება ბავშვებს:

– ეს ხიდი საით გამიყვანს, ბავშვებო?

– მდინარის მეორე ნაპირზე, ბიძია!

* * *

მასწავლებელი: – პეპიჩეკ, მიპასუხე კითხვაზე: გალიაში არის სამი მგელი და ამდენივე ცხვარი, სულ რამდენი ცხოველი ყოფილა გალიაში?

პეპიჩეკი: – სამი გამძღარი მგელი, პატივცემულო მასწავლებელო!

* * *

– ვთქვათ, ტბაზე ცურავს შენი შვიდი იხვი და სამმა ჩაყვინთა. მაღლა რამდენი დარჩებოდა? – ჰკითხა სოფლის სკოლაში მასწავლებელმა გლეხის ბიჭს.

– ჩვენ იხვები არა გვყავს, ბატონო მასწავლებელო.

– მაშ რა გყავთ?

– ბატები.

– კარგი, ბატები იყოს!

– ბატები რომ არასოდეს ყვინთავენ?!

* * *

– მთელიდან ოთხჯერ რომ მეოთხედი აქლოთ, რამდენი დარჩება? – ჰკითხა მასწავლებელმა მაქსს.

მაქსმა დუმილით უპასუხა.

– აი მეც მოგეხმარები, აბა შეხედე: ქლიავს ვჭრი ოთხ ნაწილად და მერე ოთხივე ნაწილს ვიღებ, რა რჩება?

– კურკა, ბატონო მასწავლებელო, – წამოიძახა სახეგაბრწყინებულმა ბიჭუნამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იწილო-ბიწილო

*თარაზულად:* 2. ალ.დიუმას რომანის „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 4. ფრანგი ფიზიკოსი და მათემატიკოსი; 5. მუსიკალური საკრავი; 8. კენკროვანი მცენარე; 9. თვე. 10. ზ.ფალიაშვილის ოპერა; 14. სატვირთო გემი, რომელიც ბუქსირით მოძრაობს; 15. სუსტი ქარი, რომელიც დღისით ზღვიდან ხმელეთისაკენ ქრის, ღამით კი – ხმელეთიდან ზღვისკენ. 19. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 20. ორანძიანი სამხედრო ან კომერციული ხომალდი; 21. უნგრელი კომპოზიტორი; 24. ჩრდილოეთ ამერიკის ნახევარკუნძული; 25. მფრინავი ძუძუმწოვარა ცხოველი; 27. კონტინენტი;

*შვეულად:* 1. დროშა, ანუ? 2. ქალაქი საბერძნეთში; 3. ერთგვარი ყავისფერი კანფეტი; 4. პარკოსანთა ოჯახის მერქნიანი მცენარე; 6. მდინარე რუსეთში; 7. სისხლის მიმომქცევის მთავარი არტერია; 8. აშშ-ს შტატი; 11. კავკასიონის მწვერვალი; 12. იტალიელი კომპოზიტორი; 13. ქალაქი ეგვიპტეში; 16 სულთმობრძავის მდგომარეობა; 17. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული კულტურული ან სპორტული ღონისძიების მაუწყებელი განცხადება; 18. დაბა საქართველოში; 22. ქალაქი ერაყში; 23. ტექნიკური კულტურის წარმომადგენელი მცენარე; 26. გარეული ცხოველი;





*ბავშვების მიერ თოვლზე დატოვებული ხელთათმანების დანახვაზე ძაღლმა ერთი მათგანი თავის ბუდრუგანაში გააქცუნცულა, ისე რომ ერთი წყვილი ცალის გარეშე დარჩა. დააკვირდით და გამოიცანით, რომელი წყვილი დარჩენილა უცალოდ.*



დაეხმარეთ დაღლილ ფუტკარს სკამდე მიფრინდეს



ამ ათი ჯამბაზიდან მხოლოდ ორია ერთნაირი. თუ მიხვდებით, რომელი?

## სურათები მუსიკალური ალბომიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე იწყებოდა ლეგენდარული „ბითლზი"